ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 4 ივლისი 2003 №123 (1894) | ფასი 50 თეთრი

კარლოსი დინამოს ანერვიულებს



ბაფრი ალიევის ფოტო

ივო შუშაკმა ბრაზილიელს პენალტივით ჯარიმა დაუნიშნა

დღეს 4 ივლისია, 25 ივნისი კი ცხრა დღის წინ იყო. ამით იმის თქმა გვსურს, რომ დინამოელ კარლოს და როჩას შვებულება გაუტკბა და კლუბში დაბრუნება სწორედ ამდენი დღით დააგვიანა. ზოგადად, ბრაზილიელებს დაგვიანება კი უყვართ, მაგრამ ცხრა დღე მეტისმეტი უნდა იყოს. თანაც ეს ახლაა გასული ცხრა დღე, თორემ რამდენი ხნის მერე შეუერთდება კარლოსი გერმანიაში შეკრებილ თანაგუნდელებს, ეტყობა, ჯერ თავადაც არ იცის.

სამაგიეროდ, ივო შუშაკმა უკვე გადაწყვიტა, რომ ბრაზილიელს, როცა დაბრუნდება, ჯარიმა არ ასცდება და ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე „ტირანასთან“ საშინაო მატჩსაც გამოტოვებს.

„ტირანამდე“ კი 12 დღე დარჩა.

იხილეთ მესამე გვერდი





REUTERS ლონდონიდან

ლიონის თეთრი ძაძები ფოეს სამშობლოში მიასვენებენ



REUTERS ლონდონიდან

გუშინ ლიონის სენ ჟანის საკათედრო ტაძარში პანაშვიდი გადაუხადეს მარკ ვივიენ ფოეს, რომლის დაღუპვის მიზეზი ჯერაც არ არის გამოკვლეული.

ფოეს მეუღლის, სამი შვილის, მამის და ძმის გარდა პანაშვიდს დაესწრნენ ფეხბურთელის ლიონელი, ლანსელი და მანჩესტერელი თანაგუნდელები. იქ იყვნენ ზეპ ბლატერი და კევინ კიგანი. სონი ანდერსონმა შვებულება შეწყვიტა და ბრაზილიიდან ჩავიდა. ცხადია, იქ იყო მთელი კამერუნის ნაკრებიც. კამერუნიდან სავანგვებოდ ჩაიყვანეს მგალობელთა გუნდი, იქაურ ადათთა მიხედვით, თეთრად შემოსილები.

ხვალ სპეციალური რეისით კამერუნის ნაკრების ფეხბურთელები ფოეს სამშობლოში გადაასვენებენ, სადაც 12 ივლისს დაკრძალავენ.

REUTERS ლონდონიდან

რესტავრაცია



REUTERS ლონდონიდან

ქალთა საჩოგბურთო სამყაროში რესტავრაცია მოხდა. ამ ორი კვირის წინ ბელგიელთაგან ჩაჩოგნილმა დებმა უილიამსებმა უიმბლდონის ნახევარფინალში იმავ ენენ-კლაისტერსის ძლევით აღიდგინეს სახელი და დიდება. ფინალი რომელმაც არ უნდა მოიგოს, სერენამ თუ ვინუსმა, უიმბლდონის ჩემპიონი ზედიზედ მეოთხედ უილიამსი იქნება.

კაცებში კი ჩემპიონი ვერ იქნება სრულიად ბრიტანეთის ვერშემდგარი საჩოგბურთო სიამაყე ტიმ ჰენმანი. უკვე 28 წელს აცილებულმა ინგლისელმა ფრანგ სებასტიენ გროჟანთან დათმო მეოთხედფინალი.

გახსოვდეს, გორისა ხარ!

ძველი ბიჭები ცოტანი არ ვართ

გორის „დილა“ მართლაც აღარ ხუმრობს: იქაურებს გულში ზეექვსეულში მოხვედრა ამოუჭრიათ, კლუბის თავკაცებმაც, ამ მიზნის მისაღწევად არსებული ბიუჯეტი არ გვეყოფაო და დაფინანსება გააორმაგეს. ჰოდა, ახლა გორში ფეხბურთელი ადვილი ჩასატყუებელია.

რამდენიმეწლიანი განშორების შემდეგ „დილას“ ორი ყოფილი წამყვანი მოთამაშე დაუბრუნდა. მეთოთხმეტე ჩემპიონატში „ლოკომოტივიდან“ დათხოვილი გიორგი ბალაშვილი და ალეკო კაიდარაშვილი სადღეისოდ ზურაბ ხორგუაშვილის გუნდში არიან. „დილას“ თავკაცმა „ცხინვალიდან“ კაიდარაშვილის უმციროსი ძმა, გიორგიც გადაიბირა, ვისაც ნიჭს უქებენ.

კიდევ ერთი ყოფილი რკინიგზელი, რომელიც მეთხუთმეტე ჩემპიონატში „დილას“ მაისურას მოირგებს, ზაზა ლაცაბიძეა. არ არის გამორიცხული, მას აქვსენტი გილაურიც შეუამხანაგდეს, ვისთვისაც „დილა“ უცხო სულაც არ არის, გაზაფხულზე მის ღირსებას იცავდა.

გორში ითამაშებს ნახევარმცველი დავით ჯობაძეც, ხოლო დღე-დღეზე ცენტრალური შუახაზელის, კახა ახალაძის დაბრუნებას ელიან, რომელიც პოლონეთში ცდიდა ბედს, თუმცა, ამბობენ, შინ ბრუნდებაო.

გუშინწინ „დილამ“ საკუთარ „ცენტრალურზე“ თბილისურ თსუ-ს ამხანაგურად უმასპინძლა და 5:1 მოუგო. გორელთაგან გოლები უფროსმა კაიდარაშვილმა, ლომიძემ, მარღიშვილმა და ორიც ოლგესაშვილმა გაიტანეს.

ხვალ ზურაბ ხორგუაშვილი 22 ფეხბურთელს ბაკურიანის გზას გაუყენებს და 10 დღე იქ აღვრევინებს ოფლს. უკან დაბრუნებული „დილა“ რამდენიმე საკონტროლო თამაშს ჩაატარებს და ჩემპიონატიც დაიწყება.

მამუკა კვანტალიანი

გიორგი ბალაშვილი

პირველი ლიგა: მაღალი რისკის ზონა

უმაღლესი ლიგის სამოამავალსეზონო კალენდრის პროექტი რომ გაამზადა, ფეხბურთის ფედერაციის საშეჯიბრო კომიტეტმა პირველლიგელებისთვისაც მოიცალა და კლუბების წარმომადგენლებთან ერთად კალენდრის წილისყრაზე ჟურნალისტებიც გვიწვია.

ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში პირველი ლიგის რამდენიმე წარმომადგენელი მოვისაკლისეთ, თუმც ამას პრობლემა არ წარმოუქმნია. მათი მაგივრობა წილისყრისას ჟურნალისტებმა ვიკისრეთ.

კალენდრის შედგენის წესი რა ხანია, უცვლელია და საპრეტენზიოც არავის არაფერი ჰქონია, პირველი ნომერი პირველ ტურში ბოლო ნომერს შეუწყვილდება, მერე მიჰყვები შესაბამისად, სანამ გუნდები არ შემოგელევა და ერთი ტურიც მზად არის. დააწერე ზედ თარიღი, წარუდგინე აღმასკომს, ოღონდ დანარჩენ ტურებიანად და კალენდარიც მზადაა.

მართალია, ყველაფერი ასე მარტივად არ არის, მაგრამ ამ საქმეში გაწაფულ საშეჯიბროს ეს ნამდვილად არ გაუჭირდება. ჩემი აზრით, უფრო საგულისხმო მეთხუთმეტე ჩემპიონატის რეგლამენტში შეტანილი ცვლილებები იყო.

პირველ ლიგაში 16 გუნდი ორ წრედ ითამაშებს. პირველ და მეორე ადგილებზე გასულები პირდაპირ უმაღლესში აღზევდებიან, ხოლო მესამესა და მეოთხეს ცალკე შანსი ეძლევათ — ისინი ნეიტრალურ მოედანზე, ერთმატჩიან გადათამაშებაში, უმაღლესი ლიგის მეათე და მეცხრეადგილოსნებს გაეჯიბრებიან.

პირველიდან რეგიონულ ლიგაში გაისად ერთბაშად ხუთი გუნდი გავარდება. ეს აუცილებლად დაძაბავს გათამაშებას, მაგრამ რისკის ფაქტორი (განსაკუთრებით ჩვენი მსაჯებისთვის) რომ გაიზრდება, ფაქტია.

მოკლედ, მეთხუთმეტე ჩემპიონატში ერთბაშად 9 პირველლიგელის ბედი შეიძლება შეიცვალოს. უკეთესობისკენ ან პირიქით, ეს თავად გუნდების გაქანებასა და მარიფათზეა დამოკიდებული.

16 პირველლიგელს შორის ერთი, ფეხბურთის კლუბი „ამერი“ ეროვნული ჩემპიონატის დებიუტანტია. „ამერმა“ პირველლიგელობა „ნორჩ დინამოელთან“ გაერთიანების საფუძველზე მიიღო.

პირველი ლიგა კი 16 აგვისტოდან ამოძრავდება და პირველ ტურში ესენი ითამაშებენ:

ქობულეთი — ლოკომოტივი 2
თსუ — ცხინვალი
ამერი — ივერია
ჩიხურა — სპარტაკი
გორდა — გურია
მილანი — დინამო 2
სამგურალი — ოლიმპი
მეტალურგი — ვიტ ჯორჯია-მცხეთა

მამუკა კვანტალიანი

ამერის წილი რუსია

თბილისის „ლოკომოტივის“ ყოფილმა თავდამსხმელმა მამუკა რუსიამ ორშაბათს ახალ კლუბ თბილისის „ამერთან“ გააფორმა კონტრაქტი.

ამერიდან 29 წლის ფეხბურთელი, რომელსაც „ლოკომოტივში“ 71 მატჩში 23 გოლი გაუტანია, პირველი ლიგის ორომტრიალში ჩაებმება.

სხვათა შორის, რუსიას შეძენით უმაღლესლიგელი ბოლნისის „სიონი“ და „თბილისიც“ იყვნენ დაინტერესებულნი, მაგრამ თავდამსხმელმა არჩევანი „ამერზე“ შეაჩერა.

რუსიას, რომელსაც „ლოკომოტივთან“ კონტრაქტი დაუმთავრდა, რკინიგზული კლუბი ჯერაც ედავება, თუმცა, იმედია, ყველაფერი უპრობლემოდ მოგვარდება და ფორვარდს მხოლოდ მომავალზე ფიქრის საშუალება მიეცემა.

ორი სიტყვა რუსიას ახალ გუნდზე, „ამერზეც“ ვთქვათ: პირველი ლიგის დებიუტანტი, რომელიც ამ სახელით იასპარეზებს, რეგიონული ლიგის აღმოსავლეთ ზონის გამარჯვებულის, „ნორჩი დინამოელისა“ და 2002 წელს დაარსებული „ამერის“ გაერთიანებით შეიქმნა.

„ამერის“ მთავარი მწვრთნელია გაიოზ დარსაძე, თანაშემწე თამაზ კოსტავა, რომელთა შეგირდებს შორის რუსიას გარდა ისეთი ცნობილი სახელებია, როგორებიც გახლავან გიორგი ჩიხრაძე, ვარლამ კილასონია და დავით ასლანაძე.

პაპუნა კედია



მამუკა რუსია

ფინეთი

XI ტური

ჰაკა 3:1 კუოპიო
იარო 0:6 ინტერი
იოკერიტი 2:0 ლაჰტი
ტურკუ 1:1 ტამპერე
ჯაზი 3:2 კტპ
მიუპა 2:0 ჰიკ

საქართველოს უმაღლესი ლიგა 15 ჩემპიონატი

კალენდარი

პირველი წრე

პირველი ტური
26 ივლისი, შაბათი
დინამო — ლაზიკა
ტორპედო — ბათუმი
კოლხეთი — დილა
მერცხალი — თბილისი
27 ივლისი, კვირა
ვიტ ჯორჯია — მცხეთა
28 ივლისი, ორშაბათი
ლოკომოტივი — სიონი

მეორე ტური
2 აგვისტო, შაბათი
ლაზიკა — თბილისი
სიონი — მერცხალი
ბათუმი — კოლხეთი
დინამო — ტორპედო
3 აგვისტო, კვირა
მცხეთა — ლოკომოტივი
დილა — ვიტ ჯორჯია

მესამე ტური
9 აგვისტო, შაბათი
ტორპედო — ლაზიკა
კოლხეთი — დინამო
მერცხალი — მცხეთა
თბილისი — სიონი
10 აგვისტო, კვირა
ლოკომოტივი — დილა
11 აგვისტო, ორშაბათი
ვიტ ჯორჯია — დინამო

მეოთხე ტური
16 აგვისტო, შაბათი
დილა — მერცხალი
ბათუმი — ლოკომოტივი
მცხეთა — თბილისი
17 აგვისტო, კვირა
ლაზიკა — სიონი
დინამო — ვიტ ჯორჯია
ტორპედო — კოლხეთი

მეხუთე ტური
23 აგვისტო, შაბათი
კოლხეთი — ლაზიკა
ლოკომოტივი — დინამო
მერცხალი — ბათუმი
სიონი — მცხეთა
24 აგვისტო, კვირა
ვიტ ჯორჯია — ტორპედო
25 აგვისტო, ორშაბათი
თბილისი — დილა

მეექვსე ტური
31 აგვისტო, კვირა
ლაზიკა — მცხეთა
დილა — სიონი
ბათუმი — თბილისი
დინამო — მერცხალი
ტორპედო — ლოკომოტივი
კოლხეთი — ვიტ ჯორჯია

მეშვიდე ტური
13 სექტემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია — ლაზიკა
ლოკომოტივი — კოლხეთი
მერცხალი — ტორპედო
სიონი — ბათუმი
მცხეთა — დილა
14 სექტემბერი, კვირა
თბილისი — დინამო

მერვე ტური
20 სექტემბერი, შაბათი
ლაზიკა — დილა
ბათუმი — მცხეთა
დინამო — სიონი
ტორპედო — თბილისი
კოლხეთი — მერცხალი
21 სექტემბერი, კვირა
ვიტ ჯორჯია — ლოკომოტივი

მეცხრე ტური
26 სექტემბერი, პარასკევი
მერცხალი — ვიტ ჯორჯია
თბილისი — კოლხეთი
27 სექტემბერი, შაბათი
ლოკომოტივი — ლაზიკა
სიონი — ტორპედო
მცხეთა — დინამო
დილა — ბათუმი

მეათე ტური
30 სექტემბერი, სამშაბათი
ვიტ ჯორჯია — თბილისი
1 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ლაზიკა — ბათუმი
დინამო — დილა
ტორპედო — მცხეთა
კოლხეთი — სიონი
ლოკომოტივი — მერცხალი

მეთერთმეტე ტური
5 ოქტომბერი, კვირა
მერცხალი — ლაზიკა
თბილისი — ლოკომოტივი
სიონი — ვიტ ჯორჯია
მცხეთა — კოლხეთი
დილა — ტორპედო
ბათუმი — დინამო

მეორე წრე

მეთორმეტე ტური
17 ოქტომბერი, პარასკევი
დილა — კოლხეთი
18 ოქტომბერი, შაბათი
ბათუმი — ტორპედო
მცხეთა — ვიტ ჯორჯია
თბილისი — მერცხალი
19 ოქტომბერი, კვირა
ლაზიკა — დინამო
სიონი — ლოკომოტივი

მეცამეტე ტური
22 ოქტომბერი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია — დილა
კოლხეთი — ბათუმი
23 ოქტომბერი, ხუთშაბათი
თბილისი — ლაზიკა
მერცხალი — სიონი
ტორპედო — დინამო
ლოკომოტივი — მცხეთა

მეთოთხმეტე ტური
27 ოქტომბერი, ორშაბათი
ლაზიკა — ტორპედო
დინამო — კოლხეთი
ბათუმი — ვიტ ჯორჯია
დილა — ლოკომოტივი
მცხეთა — მერცხალი
სიონი — თბილისი

მეთხუთმეტე ტური
31 ოქტომბერი, პარასკევი
სიონი — ლაზიკა
თბილისი — მცხეთა
მერცხალი — დილა
ლოკომოტივი — ბათუმი
კოლხეთი — ტორპედო
1 ნოემბერი, შაბათი
ვიტ ჯორჯია — დინამო

მეთექვსმეტე ტური
8 ნოემბერი, შაბათი
ლაზიკა — კოლხეთი
ტორპედო — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — მერცხალი
დილა — თბილისი
მცხეთა — სიონი
9 ნოემბერი, კვირა
დინამო — ლოკომოტივი

მეჩვიდმეტე ტური
12 ნოემბერი, ოთხშაბათი
მცხეთა — ლაზიკა
სიონი — დილა
ვიტ ჯორჯია — კოლხეთი
თბილისი — ბათუმი
13 ნოემბერი, ხუთშაბათი
მერცხალი — დინამო
ლოკომოტივი — ტორპედო

მეთვრამეტე ტური
16 ნოემბერი, კვირა
ლაზიკა — ვიტ ჯორჯია
ბათუმი — სიონი
დილა — მცხეთა
17 ნოემბერი, ორშაბათი
დინამო — თბილისი
კოლხეთი — ლოკომოტივი
ტორპედო — მერცხალი

მეცხრამეტე ტური
21 ნოემბერი, პარასკევი
დილა — ლაზიკა
მცხეთა — ბათუმი
თბილისი — ტორპედო
მერცხალი — კოლხეთი
22 ნოემბერი, შაბათი
სიონი — დინამო
ლოკომოტივი — ვიტ ჯორჯია

მეოცე ტური
26 ნოემბერი, ოთხშაბათი
ვიტ ჯორჯია — მერცხალი
ლაზიკა — ლოკომოტივი
კოლხეთი — თბილისი
ტორპედო — სიონი
დინამო — მცხეთა
ბათუმი — დილა

ოცდამეერთე ტური
3 დეკემბერი, ოთხშაბათი
ბათუმი — ლაზიკა
დილა — დინამო
მცხეთა — ტორპედო
სიონი — კოლხეთი
თბილისი — ვიტ ჯორჯია
მერცხალი — ლოკომოტივი

ოცდამეორე ტური
7 დეკემბერი, კვირა
ლაზიკა — მერცხალი
ლოკომოტივი — თბილისი
ვიტ ჯორჯია — სიონი
კოლხეთი — მცხეთა
ტორპედო — დილა
დინამო — ბათუმი

პენსიონერი იოჰან ბოსკამპი: მე და ხალხს ავანტიურა გვიყვარს

გემოვნებაზე სწორედაც რომ დავობენ და, დავობენ ფეხბურთზეც — არ არსებობს ფეხბურთი გემოვნების გარეშე...

დავობენ მწვრთნელებზე, მათ გემოვნებაზე და იოჰან ბოსკამპზეც, რომელიც 1999 წელს რამდენიმე თვით საქართველოს ეროვნულ ნაკრებსა და თბილისის „დინამოს“ თავკაცობდა...

იოჰან ბოსკამპს გუშინწინ შევეხმიანეთ ბელგიაში და ინტერვიუ ვთხოვეთ. ჰოლანდიელმა კი გვითხრა, ხვალ დილით დამირეკეთ, ჩემს ქართულ ერაზე ლაპარაკს პატარა დროს ვერ მოვანდომებთო...

ბოსკამპი მოკლე პასუხებით შემოიფარგლა, მაგრამ რარიგ ტევადით, ამას ინტერვიუში ამოიკითხავთ



ბაბრი ჯეფლაძის ფოტო

ჰოლანდიელის ქართული აღმოჩენა: ფეხბურთს აღმოსავლეთშიც თამაშობენ

— ამას წინათ მექსიკაში ბრძანდებოდით როგორც თქვენი საფეხბურთო სკოლის დირექტორი, მანამდე საემიროებში მუშაობდით მწვრთნელად, კიდევ უფრო ადრე საქართველოში. საკუთარ თავს მოხეტიალე მწვრთნელად თვლით?

— ჩვენ ადამიანები ვართ, ფეხბურთი კი თამაშია და თუ აქეთ-იქით ვმოგზაურობ, ეს უბრალოდ ცხოვრების ნაწილია.

— საქართველოში რომ ჩამოხვედით სამუშაოდ, ამას არ ნანობთ?

— სასაცილო იქნებოდა, ამას რომ ვნანობდე. საქართველოში კარგი დრო გავატარე. ქართველებს ჩინებული ფეხბურთელები გყავთ. თქვენთან თავს ნორმალურად ვგრძნობდი.

— რა გამოცდილება შეგძინათ საქართველოში გატარებულმა რამდენიმე თვემ?

— როცა სხვა გარემოში მოხვდები, შენთვის ყველაფერი ახალია და თავისთავად ახალ გამოცდილებას იძენ. საქართველოში ყოფნისას ბევრი განსხვავებული რამ აღმოვაჩინე და რაღაც-რაღაცეები ვისწავლე კიდეც.

— ყველაზე უფრო განსაკუთრებული მაინც რა აღმოაჩინეთ?

— ის, რომ ფეხურთის თამაში მხოლოდ დასავლეთში კი არა, აღმოსავლეთ ევროპაშიც შეუძლიათ.

— თქვენი ხელმძღვანელობით საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ერთი თამაშიც კი ვერ მოიგო, ხოლო „დინამო“ მყისვე გამოეთიშა ევროტურნირებს. რა იყო ამის მიზეზი?

— უბრალოდ, ფეხბურთი სპორტის ერთ-ერთი სახეობაა — ხან იგებ, ხან აგებ. საქართველოში კი დიდი ხნით არ მიმუშავია.

— ვინმე ან რაიმე ფაქტორები ხომ არ გიშლიდნენ ხელს?

— არ მესმის, ვის ან რას უნდა შეეშალა ჩემთვის ხელი, მე ხომ ორივე გუნდის მთავარი მწვრთნელი ვიყავი.

— საქართველოში ბევრი ფიქრობს, რომ ბოსკამპი ნაკრებს ავანტიურისტულ ფეხბურთს ათამაშებდა და შედეგიც ამის გამო ვერ მოიმკო. ეთანხმებით ასეთ შეხედულებას?

— რისკიანი თუ არ ხარ, ვერაფერს მიაღწევ. თანაც ვფიქრობ, რომ ხალხს უყვარს ავანტიურისტული ფეხბურთი — ეს კარგი ფეხბურთია, მაგრამ წარმატება ხან მოაქვს, ხან არა.

— თქვენი მწვრთნელობისას ვინ იყო საქართველოს ნაკრების საუკეთესო ფეხბურთელი?

— გუნდში იყო რამდენიმე წამყვანი მოთამაშე, თუნდაც თემურ ქეცბაია.

— ესე იგი, საუკეთესო ქეცბაია იყო?

— მე ეს არ მითქვამს. ქეცბაიას შეეძლო გუნდზე გავლენა მოეხდინა, ის ძალიან კარგი მენტალიტეტის ფეხბურთელია. საერთოდ კი, საქართველოს ნაკრებს ბევრი კარგი ფეხბურთელი ჰყავდა.

— თქვენი ხანმოკლე ქართული ეპოქისას რამდენიმე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი გამოჩნდა. მათგან ვის გამოარჩევდით?

— საქართველოში მართლაც რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ვნახე. ბევრ ქართველ ფეხბურთელს კარგი მომავალი აქვს.

—ზოგადად, ქართული ფეხბურთის მომავალი როგორ წარმოგიდგენიათ?

— ძალიან კარგად და ამის თქმის ერთ-ერთ საფუძველს სწორედ თქვენი ნიჭიერი ფეხბურთელები ჰაძლევენ.

— საქართველოს აწლანდელ ნაკრებზე და ქართულ ფეხბურთში მიმდინარე პროცესებზე გაქვთ რაიმე ინფორმაცია?

— არა, არანაირი.

— არც ის იცით, რომ ზურაბ ხიზანიშვილი, რომელიც პირველად თქვენ მიიწვიეთ და ათამაშეთ ეროვნულ ნაკრებში, ახლახან „ვლაზგო რეინჯერსში“ გადავიდა?

— ეგ როგორ არ ვიცი. ვფიქრობ, ხიზანიშვილი კიდევ უფრო მეტს მიაღწევს.

— ნაკრებიდან რომ ზაზა ჯანაშია გააგდეთ, ალბათ, გახსოვთ. როგორც ვიცით, მისმა თანაგუნდელებმა გთხოვეს, ნაკრებში დაგებრუნებინათ ჯანაშია. კონკრეტულად ვინ მოგმართათ ასეთი თხოვნით?

— გუნდის კაპიტანმა ნემსაძემ, მაგრამ ჩემს გადაწყვეტილებას ვერავინ შემაცვლევინებდა.

— სამწვრთნელო კარიერის გაგრძელებას სად აპირებთ?

— არსად, პენსიაზე გავედი.

— რატომ?

— ფეხბურთი მკლავს.

— საქართველოში ყოფნისას ფეხი გაწუხებდათ. ეს ხომ არ არის თქვენი პენსიაზე გასვლის მიზეზი?

— ფეხზე ოპერაციის გაკეთებას ვაპირებ — ეს ალბათ ორი თვის შემდეგ მოხდება, მერე კი ვნახოთ...

— და მერე რომ მერაბ ჟორდანიამ ხელმეორედ შემოგთავაზოთ საქართველოს ნაკრების მწვრთნელობა, რას უპასუხებთ?

— არა, არავითარ შემთხვევაში, რადგან ეს ახლა არ მაინტერესებს და ძალიან რთული იქნებოდა. ახლა ყველაზე უფრო დასვენება მჭირდება.

დავით თავართქილაძე



ბაბრი ჯეფლაძის ფოტო

კარლოსისგან ივო შუშაკი ამას არ ელოდა

კარლოსი საეჭვოდ იქცევა

გაბრაზებულმა შუშაკმა ბრაზილიელს თამაში, ფული და ყური აახია

ავსტრიულ „ლუსტენაუსთან“ 3:0 მოგების მეორე დღეს გერმანიაში მოსამზადებლად მყოფი თბილისის „დინამო“ მწვრთნელმა ივო შუშაკმა დაასვენა — გუნდი შტუტგარტში იყო ექსკურსიაზე. გუშინდლიდან კი თბილისელებმა გეგმის მიხედვით, დღეში ორჯერადი, მომქანცველი ვარჯიშებით განაგრძეს მზადება.

„დინამოს“ გუშინვე შეუერთდა და ივარჯიშა კიდეც ბრაზილიელმა ტესერმა. ის 22 წლის ნახევარმცველია. თითქმის გადაწყვეტილია, რომ გუნდს დღეს-ხვალ დატოვებს რუიტში გასასინჯად მყოფი არგენტინელი ფრედერიკო. მან მწვრთნელის მოთხოვნები ვერ დააკმაყოფილა.

რუიტში ჯერაც არ ჩასულა „დინამოს“ მარჯვენაფლანგელი მცველი კარლოსი. შვებულების დამთავრების შემდეგ ის თბილისელებს თვალით არ უნახავთ. არადა, მას გუნდი 25 ივნისს ელოდა. კარლოსმა „დინამოსგან“ გაგზავნილი ბრაზილიიდან გერმანიაში გასამგზავრებელი ბილეთიც კი გააუქმა. თბილისელები ფეხბურთელს ტელეფონით შეეხმიანენ და პირობაც მიიღეს, რუიტში უკვე მოვფრინავო, თუმც ის დღემდე ბრაზილიაშია. შუშაკი კარლოსის უწესობით აღშფოთებულია და გარდა იმისა, რომ თქვა, ფეხბურთელს ფინანსური ჯარიმა არ ასცდებაო, უკვე გადაწყვიტა, 16 ივლისს, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ, თბილისურ მატჩში კარლოსი არ ათამაშოს. „ტირანასთან“ გუნდს, სავარაუდოდ, ვერც რატი ალექსიძე დაეხმარება. ის თბილისში დღემდე მკურნალობს ხერხემალს და რუიტში ჩასვლასა და მომზადებას ალბათ ველარ შეძლებს.

„დინამო“ ისევ მოწადინებულია „ლოკომოტივიდან“ დავით სირაძის გადასაბირებლად. ჩემპიონები რკინიგზელებს სირაძის რამდენიმე ფეხბურთელში გაცვლას სთავაზობენ, თუმც საბოლოო პასუხი „ლოკომოტივს“ ჯერ არ უთქვამს. თითქმის გამორიცხულია, რომ „დინამომ“ მოახერხოს თურქეთიდან წამოსული რევაზ ქემოკლიძის დასაკუთრება. ბოლო დღეებში კი „დინამომ“ „ვიტ ჯორჯიასთან“ წამოიწყო მოლაპარაკება ლევან მელქაძის თაობაზე. ჯერჯერობით ესაა „დინამოს“ სატრანსფერო ამბები. გუნდში გასასინჯად მყოფი ლაკიჩის, კოკაჩისა და ტესერის დარჩენა-არდარჩენის საკითხი კი, სავარაუდოდ, რუიტული შეკრების მერე გაირკვევა.

„დინამოს“ ხვალ ბუნდესლიგის „მიუნხენთან“ აქვს ამხანაგური მატჩი დაგეგმილი, 6 და 10 ივლისს გერმანულ სამოყვარულო გუნდებთან, 8-ში კი მეორე ბუნდესლიგის „ულმთან“. თბილისელები შინ 12 ივლისს დაბრუნდებიან.

კოტა ინასარიძე

გიორგი ლომაიას იმედი გაუხუნდა



ალექს ფილიპოვიჩის ფოტო

გუშინდელი დილის ვარჯიშის შემდეგ ეროვნული გუნდის მეკარე გიორგი ლომაია რკინიგზელ თანაგუნდელებს და „ლოკომოტივის“ ახალდანიშნულ მწვრთნელებს დაემშვიდობა. ვაკის სტადიონიდან შინისკენ მიმავალმა გზად რკინიგზის დეპარტამენტში გაიარა, კლუბის თავკაცებს გამოეთხოვა. მერე გიორგი საკიევო სამზადისს შეუდგა.

გიორგიმ საუკრაინო ბილეთი ჯერ კიდევ ორიოდ კვირის წინ შეუკვეთა, გუშინ კი ბარგი შეკრა... სწორედ მაშინ გაისმა სატელეფონო ზარი კიევიდან.

„4 ივლისს ნუ ჩამოხვალ. „დინამოს“ პრეზიდენტ სურკისს მონაკოდან კიევში დაბრუნება შეაგვიანდა. ახლა მისი თხოვნით გირეკავთ, სავარაუდოდ, ერთ კვირაში სურკისი თავად ჩამოვა საქართველოში და კიევშიც ერთად წამოხვალთ“ — შეატყობინეს გიორგის უკრაინელებმა.

უკრაინელების მიერ გიორგის შეყოვნებას ორი ახსნა შეიძლება მოეუძებნოთ. შესაძლოა, პრეზიდენტ სურკისს მართლაც დაუგვიანდა დაბრუნება, მაგრამ ადრე თუ გვიან ის კიევში მაინც ხომ ჩავიდოდა და ლომაიას ნაადრევ სტუმრობას არა გვგონია, „კონჩა ზასპას“ სასადილო გაელარიბებინა.

სხვა მხრივ, არც ის არის გამორიცხული, რომ კიეველებმა თავისი ორივე მეკარის შენარჩუნება გადაწყვიტეს, ჩვენებური კი უიმედო სათადარიგოობისთვის ვერ გაიმეტეს და გადაჭრით უარის თქმას ისევ დიპლომატიური პასუხი არჩიეს. არადა, იქნებ ჯობდა, ყველაფერი ახლავე გარკვეულიყო. მაშინ გიორგიც სულ სხვაგვარად გადაწყობდა სამომავლო გეგმებს. ლოდინი ხომ ძალიან დამთრგუნველია.

რაც შეეხება იმ ყბადაღებულ ინგლისურ ვარიანტს, რომელსაც რა ხანია, გიორგისთვის ამზადებენ და არ დაადგა საშველი, მისი უკვე ლომაიასაც აღარ სჯერა. გუშინ საღამოს რომ შეეხმიანეთ, გულგატეხილმა ეს გვითხრა, კიდევ ორიოდ დღეს დავიცდი და თუ სახეირო არაფერი იქნება, „ლოკომოტივს“ გავყვები გერმანულ შეკრებაზეო.

მამუკა კვანტალიანი

ქართველები მარატ იზმაილოვს აკვირვებენ

ეს ის შემთხვევაა, როცა რუსი სიკეთეს და სითბოს ხედავს

თუ გახსოვთ, მალხაზ ასათიანი „ლოკომოტივში“ ახალი გადასული იყო, ერთ ინტერვიუში რომ გვითხრა, ყველაზე უკეთ მარატ იზმაილოვს გავუგე, ძალიან კარგი პიროვნებაა და ვძმაკაცობთო.

მარატ იზმაილოვი 20 წლისაა, 1982 წლის 21 სექტემბერს დაიბადა. დიდი ფეხბურთი მოსკოვის „ლოკომოტივში“ დაიწყო და რკინიგზულ კლუბში გამოჩენისთანავე აალაპარაკა რუსული საფეხბურთო სამყარო.

გუშინ მალხაზ ასათიანის დახმარებით მარატს დავუკავშირდით და ინტერვიუ ვთხოვეთ. უარის თქმა იმიტომაც არ შემიძლია, რომ მალხაზმა მთხოვა, სიამოვნებით გაგესაუბრებითო, გვითხრა და ეს ინტერვიუც შედგა



— „ლოკომოტივმა“ სეზონი ძალიან ცუდად დაიწყო. ერთხანს აუტსაიდერთა შორისაც იყო. მიზეზი რა გგონიათ?

— ზუსტად ვერ გეტყვით. უმთავრესი ცუდი მოედნებია, ჩემპიონატის დაწყებისას მათზე ფეხბურთის თამაშის გარდა ყველაფრის გაკეთება შეიძლებოდა. მეც ძალიან ცუდ ფორმაში ვიყავი და ბიჭებიც არ იყვნენ ჩვეულად. ამას ისიც დაემატა, რომ ჩემპიონთა ლიგის მერე გუნდს სათანადო განწყობა არ ჰქონდა. ტრავმებიც მოგვიხშირდა. ერთი სიტყვით, მიზეზი საკმაო იყო.



მარატ იზმაილოვმა ჩემპიონთა ლიგის გემოც გაიგო

— ახლა მდგომარეობა შედარებით გამოასწორეთ. როგორ ფიქრობთ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა კიდევ შეგიძლიათ?

— რა თქმა უნდა, სხვა რამეზე არც ვფიქრობ. რთული პერიოდი უკვე გავიარეთ. უფრო მეტი და მეტი უნდა მოვიგოთ. ძალიან სერიოზულად ვფიქრობთ ჩემპიონობაზე. უმთავრესი მიზანიც ესაა, გავუსწროთ მოსკოვის ცსკა-ს.

— ცსკა თქვენი მთავარი კონკურენტია. სხვა გუნდებსაც შეუძლიათ, ჩემპიონობაზე პრეტენზია განაცხადონ?

— რუსეთის ჩემპიონატის დონე ბოლო წლებში ძალიან ამაღლდა და ამიტომ წინასწარ ძნელია იმის თქმა, ვის შეუძლია წარმატების მიღწევა. რამდენიმე გუნდისგან ეს მოსალოდნელია, თუმც ჩვენ სხვების აზრი არ გვაინტერესებს. რუსეთის ჩემპიონი „ლოკომოტივი“ უნდა გახდეს.

— იური სიომინი ხშირად გიცვლით სათამაშო პოზიციის. თავად სად გირჩევნიათ თამაში?

— სადაც მწვრთნელი გეტყვის, იქ უნდა ითამაშო. ალბათ, ასეა საჭირო გუნდისთვის, ჩემთვის კი საერთო ინტერესები პირადულზე მაღლა დგას. ისე კი, ცენტრალურ ნახევარმცველად თამაში მირჩევნია, ეს ჩემი საყვარელი ადგილია.

— საქართველო — რუსეთის მატჩს როგორ იხსენებთ?

— რუსეთის ნაკრებმა ძალიან ცუდად ითამაშა. საკუთარი თავითაც უკმაყოფილო ვარ. ცხადია, ამ მატჩს რუსეთში ძალიან უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. მაგრამ მე საქართველოს ასეთ კარგ თამაშს ველოდი. თავიდანვე დარწმუნებული ვიყავი, რომ თქვენი ნაკრები ალმაფრენით ითამაშებდა.

— რატომ?

— ჯერ ერთი, რუსეთის მერე საქართველოს ნაკრების ქომაგი ვარ. ამას იმიტომ არ გეუბნებით, რომ თქვენც ქართველი ხართ. უბრალოდ, მე თქვენს ქვეყანაში ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. დღესაც ვერ ვხვდები, რატომ ვერ აღწევს საქართველოს ნაკრები სერიოზულ წარმატებებს. თქვენ ეს მართლა შეგიძლიათ, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველაფერი სხვაგვარადაა. ყოველთვის გამიხარდება ჩემი მეგობრებისა და ახლობლების სამშობლოს წარმატებების გაგება.

— საქართველოში ბევრი მეგობარი მყავსო, თქვით. ჩვენც ვიცოდით, რომ ადრე ზაზა ჯანაშიასთან და გიორგი დემეტრაძესთან ძმაკაცობდით...

— დიახ, მე ძალიან მიყვარს ქართველები. შორს რომ არ წავიდეთ, აგერ, გვერდით მალხაზი მიზის. ამ ბიჭზე დღე და ღამე შემიძლია ვილაპარაკო. ძალიან თბილი და მხიარული პიროვნებაა. სხვებსაც ახლოს ვიცნობ: არველაძე, დემეტრაძე, კალაძე... ასე რომ გავაგრძელო, მთელ ნაკრებსაც ჩამოვთვლი. თბილი ურთიერთობა მაქვს რუსეთში მოთამაშე ქართველებთანაც. ახლახან „როსტელეკომის თასზე“ ლეგიონერთა ნაკრებს რომ ვეთამაშეთ, ალექსანდრე რეხვიაშვილს მაისურაც კი გავუცვალე, ერთმანეთი მოვიკითხეთ. ყველაფერს რომ შევეშვათ, ფეხბურთისკენ ქართველმა მომაბრუნა.

— როგორ?

— ალბათ გაგიგიათ ექიმი ვლადიმერ დათუნაშვილი. რამდენიმე ხნის წინ ისეთი ტრავმა მქონდა, თამაშს თუ გავაგრძელებდი, არავის ეგონა. სწორედ დათუნაშვილმა დამაყენა ფეხზე, რისთვისაც მისი ძალიან მადლიერი ვარ. სხვათა შორის, მან ადრე არჩილ არველაძესაც გაუკეთა ოპერაცია. ასე რომ, ალბათ დარწმუნდით, რას ნიშნავს ჩემთვის ქართველი.

— მალხაზი საქართველოში არ გეპატიჟებათ?

— როგორ არა, როცა საქართველოს იხსენებს, სულ მეპატიჟება, მე კი ვერაფერს ვეუბნები. რომ შეეპირდე, ხომ უნდა შეავასრულო?! არადა, ისე ცოტა თავისუფალი დრო მაქვს, ვერაფერს ვასწრებ. ალბათ, როდესმე მაინც ვესტუმრები მალხაზს საქართველოში.

— როგორც ვიცით, ძალიან ახლო ურთიერთობა გქონდათ ცნობილ რუს ტანმოვარჯიშე ალინა კაბაევასთან. ახლაც ერთად ხართ?

— სხვათა შორის, ალინაზე მეტად სხვა ტანმოვარჯიშეებთან უფრო ახლოს ვმეგობრობ.

— ჟურნალისტები ცნობისმოყვარე ხალხია. თუ საიდუმლო არაა, ვისთან?

— სხვებთან. ალინა ძალიან დაკავებული გოგოა. მას ბევრი დრო არა აქვს, იშვიათად ვხვდები. უფრო მეტად ირინა ჩაშინასთან მაქვს ურთიერთობა.

— თავისუფალ დროს როგორ ატარებთ?

— აი, ჩემი ყველაზე დიდი პრობლემა. თავისუფალი დრო სანატრელი მაქვს, თუმც ამაზე წუწუნს არ ვაპირებ. ჩემს საყვარელ საქმეს ვაკეთებ და ეს ძალიან მახარებს. ისე, ბოულინგის თამაში მიყვარს ძალიან. კომპიუტერთანაც ვმეგობრობ, ინტერნეტში ხეტიალი მიტაცებს. და კიდევ, ჩემი მეგობრები.

— და ბოლოს, ხომ არ ფიქრობთ, რომ უკვე დაგიდგათ უკეთეს ევროპულ კლუბში გადასვლის დრო?

— რა თქმა უნდა, უკეთესი იქნება, თუ რომელიმე კარგ კლუბში გადავალ. ამისთვის მარტო ჩემი სურვილი არ არის საკმარისი. კარგ ფორმაში უნდა ვიყო, რომ ჩემს ტრანსფერზე ვიფიქრო. თუმც ევროპულ კლუბში სათადარიგოთა სკამზე ჯდომას არ ვაპირებ. იქ რომ გადავალ, მაგარი უნდა ვიყო. ამის დრო, მგონი, ახლა დამიდგა. რუსეთის ნაკრებშიც ვთამაშობ და აგვისტოდან ჩემპიონთა ლიგაც გველის. ახლა უნდა ვაჩვენო, რა შემიძლია.

ძახა შალამბერიძე



ფოტო: ალექსანდრ ბერეზოვსკი

კლუბში მეგობრები, ნაკრებში მეტოქეები: მალხაზ ასათიანი და მარატ იზმაილოვი



ფოტო: ალექსანდრ ბერეზოვსკი

მიხეილ აშვეთია

ტაკოევმა აშვეთია დაიფიცა

მიხეილ აშვეთიას საფეხბურთო კარიერაში ყველაზე გაურკვეველი ყოველთვის მისი სატრანსფერო ამბები იყო. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა საკმაოზე მეტ ხანსაც ჭიანურდებოდა და გულშემატკივრისთვისაც დამაბნეველი იყო. ასეა ახლაც — აშვეთია უკვე რამდენიმე თვეა, ვლადიკავკაზის „სპარტაკ-ალანიას“ დატოვებას ეშურება, თუმც ეს დღემდე ვერ მოახერხა.

ცოტა ხნის წინ აშვეთიამ „სპარტაკ-ალანიას“ პრეზიდენტ მიხაილ შატალოვთანაც შეათანხმა, რომ რუსეთის ჩემპიონატის წრეებსშორის შესვენებისას სხვა კლუბში გადავიდოდა. მსურველებიც იყვნენ — „როსტოვი“ სულაც მაშინვე აპირებდა ჩვენებურთან კონტრაქტის გაფორმებას. უკეთესი ვარიანტების მოლოდინში აშვეთია როსტოველებთან შეთანხმებას არ ჩქარობდა და... ახლა საქმე ისე შეტრიალდა, ეგებ ისევ „სპარტაკ-ალანიაში“ დარჩეს.

გუშინწინ ოსურ კლუბს პრეზიდენტი შეეცვალა — საგანგებოდ ჩატარებულ კრებაზე მიხაილ შატალოვი გადადგა და მის ნაცვლად სერგეი ტაკოევი დაინიშნა. სწორედ ტაკოევის დამსახურებაა მიხეილ აშვეთიას დანიური „კოპენჰაგენიდან“ გამოხსნა, რადგან ამ ტრანსფერის განხორციელების დროს „სპარტაკ-ალანიას“ ის პატრონობდა. ხელმეორედ დანიშნულმა ტაკოევმა კი პირველივე ოფიციალური განცხადება აშვეთიას შესახებ გააკეთა: „აშვეთია კონტრაქტით ჩვენ გვეკუთვნის და მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა იგი გუნდში დარჩეს.“

ერთი სიტყვით, აშვეთიას სატრანსფერო ორომტრიალი გრძელდება. სად წავა ქართველი თავდამსხმელი? ამ კითხვაზე პასუხი ჯერაც არ ჩანს. თავად მიხო კი ამჟამად მოსკოვშია და ახალი კლუბის ვინაობას არკვევს. მართალია, ტაკოევი თავისთან ექაჩება, მაგრამ ისედაც ვალებში ჩავარდნილი ოსები შესაძლოა, მაინც დათანხმდნენ ჩვენებურის გასხვისებას.

ძახა შალამბერიძე



ო, ღმერთო, ის ხომ დიადია

მილანში ბექემი იდიოტი იქნებოდა

დევიდ ბექემმა „რეალში“ ოცდასამი ნომერი მიიღო. რატომ 23? რას ნიშნავს 23?

23 ნომერი შესაძლოა მადრიდისოვის ბევრს მართლაც არაფერს ნიშნავს, მაგრამ სპორტული სამყაროსთვის, უფრო კონკრეტულად კი ამერიკული სპორტისთვის, მეგამოვლენაა — ეს ნომერი ბექემის კერპს, კალათბურთის ლეგენდას, წელიწადში მრავალმილიონიან მაიკლ ჯორდანს ეწერა წლების განმავლობაში. და სხვათა შორის, 23 ნომერია წლევანდელი დრაფტის პირველი კაცი, მომავალ სენსაციად მონათლული ლებრონ ჯეიმსიც, 18 წლისა 16 მილიონი დოლარის გასამრჯელოს რომ შესწვდომია.

დევიდ ბექემი: „ევროპასა და იაპონიაში მართლაც ძალიან ცნობილი ვარ, თუმცა ამერიკაში სხვა ამბავია, იქ ფეხბურთით ცნობილი ვერ გახდები. ამიტომ ჩემთვის მნიშვნელოვანია ისეთი რამის გაკეთება, ოკეანის გადაღმა აღიარებას რომ მომიტანს.“

დახეთ, რა ხდება: შორეულ აღმოსავლეთში, სადაც ბექემი ასე ცნობილია, მაიკლ ჯორდანი თავისი ამერიკული პრომოუტერებით არანაკლებ სახელოვანი გახლავთ და ბექემის მიერ „რეალში“ ნომრის არჩევას, ევროპაში განსაკუთრებული ყურადღება არავინ რომ მიაქცია, აზიაში სხვა თვალით შეხედეს.

სხვათა შორის, ბექემსა და ჯორდანს მენეჯმენტის ერთი და იგივე კომპანია, SFX პატრონობს.

„ვარსკვლავის დანახვით ყველაზე მეტად მაშინ დავიშოკე, როდესაც ჯორდანი ვიხილე — მიუხედავად იმისა, რომ იგი მადონას გვერდით იჯდა. ეს რესტორანში მოხდა, მე ვიქტორიასთან ერთად ვიყავი, ჩვენ გვერდით მაგიდას მივუსხედით. მივშტერებოდი და ვფიქრობდი: „ო, ღმერთო, დარწმუნებული ვარ, ეს მაიკლ ჯორდანია“. კიდევ კარგი ვიქტორიამ მიჩურჩულა, თვალი მომეცილებინა. მეც დავემორჩილე. ერთი ხნის შემდეგ მადონამ შამპანური გამოგვიგზავნა და სამადლობელოდ მისვლა მომიხდა. მაიკლი წამოდგა, ჩვენ ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით, ჩემს ცხოვრებაში ჩინებული წამი იდგა, მაგრამ ძალიან ვნერვიულობდი“ — განაცხადა ბექემმა, როდესაც მისი ახალი მაისურის პრეზენტაციამ დიდი ეფექტი მოახდინა — ნახევარ საათში 300 ცალი გაიყიდა, თითო 84 ევროდ.

„ჩემი მომავლის შესახებ პირველი ჭორები საშობაოდ დაირხა, მაგრამ იმთავითვე ცნობილი გახდა, რომ „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ მხოლოდ მადრიდის „რეალში“ წავიდოდი“ — თქვა მან.

ისე კი, ბექემი უკვე ცდილობს თავის სელებრითობაზე მეტად ფეხბურთელობა წამოსწიოს წინ. მაგალითად, რამდენჯერმე ხმამაღლა თქვა, მძღოლი საერთოდ არ მინდა, პროდუქტებს კი უახლოეს სუპერმარკეტში შევიძენო. „რეალის“ პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმაც დაახლოებით იგივე ბრძანა, მე ფეხბურთელი ვიყიდე და არა მოდის ვარსკვლავიო.

რაც გნებავთ, ის უწოდეთ, ოლონდ ნუ დაგვავიწყდება, რომ ბექემის მადრიდში ჩასვლა-წარდგენის ცერემონიალს მსოფლიოს მასშტაბით ორმა მილიარდმა ტელემაყურებელმა უცქირა, რაც მხოლოდ პრინცესა დაიანას დაკრძალვას ჩამორჩებოდა — 1997 წელს ლედი დის პროცესიას 2,5 მილიარდი უცქერდა.

ფოტოაპარატების ციმციმში ბექემმა და „რეალის“ თორმეტმა დირექტორმა ერთმანეთს საზეიმო სიტყვები უთხრეს.

„თქვენ ოცნებათა თეატრიდან ჩამოხვედით, რათა ოცნების გუნდს შეერთებოდით“ — მიმართა ბექემს პრეზიდენტმა პერესმა, რომელმაც მანჩესტერის სტადიონის მეტსახელი „ოცნებათა თეატრი“, „რეალის“ ოცნების გუნდობას გაუთამაშა.

საინტერესო რამ მოხდა „სანტიაგო ბერნაბეუზე“, სადაც ბექემმა ქომაგთა ლაშქარს ერთი-ორი საჩვენებელი ილეთი უძღვნა: უეცრად დაცვის ხალხს 11 წლის ბიჭი დაუსხლტა და ფეხბურთელისკენ გაიქცა. დაცვა შეიმართა, რათა ბავშვი დაეკავებინა, მაგრამ ბექემმა ბავშვი თავისთან მიიხმო და... სარეკლამო ტრიუკებში გაწაფულმა აგენტებმაც ახალი, 23-ნომრიანი მაისურა მიურბენინეს.

მერე, „რეალის“ საკალათბურთო დარბაზში, ინგლისელი სცენაზე პლასიდო დომინგოს ჩაწერილი ჰიმნის, HOLA MADRID-ის თანხლებით ავიდა და ბოლოს... გაზეთი „სანი“ ასე ხუმრობს: კიდევ კარგი ბექემი მადრიდში გადავიდა და არა მილანში, თორემ იტალიაში ყველა რიცხვი რაღაცას ნიშნავს (მაგალითად, 90 ცეცხლია, 77 ქალის ფეხები), მათ შორის 23-იც. 23 იდიოტის სიმბოლოა.

პაპუნა კედია





მაიკლ ჯორდანი ყველაზე დიდი 23 ნომერია, ლებრონ ჯეიმსი დიადობისთვის ემზადება

პრინცესა დაიანას დაკრძალვას 2,5 მილიარდი ტელემაყურებელი ადევნებდა თვალს

საქველმოქმედო მატჩი ლუზიტანიური კარნავალი



REUTERS პორტუგალია

კარლოს კეირუში და ვისენტე დელ ბოსკე ერთი მატჩით დამშობილდნენ

ფიგუს ნაკრები 5:5 UNICEF

1:0 რაული (28), 1:1 კონსეისაუ (31), 1:2 სალგადო (34), 2:2 რონალდო (39), 2:3 ზიდანი (41), 2:4 ვან ნისტელროი (48), 3:4 პაულეტა (55), 3:5 კემპბელი (67ს.ჯ.), 4:5, 5:5 პაულეტა (78, 85)

ფიგუს ნაკრები: ბუფონი (ნელსონი 46), პანუჩი (სანიოლი 73), იერო (გვარდიოლა 46), მაკელელე (ალდაირი 46), ფიგუ (მ. შუმახერი 46), რუი კოშტა (ეტოო 46), რონალდო (პაულეტა 46), რაული (ენდი კოული 46), სანიოლი (ს. კემპბელი 46), ფ. კოუტუ (ლეონარდო 46), დეკო სოუზა (მაკელელე 69)

UNICEF: რიკარდუ (პლეტიკოშა 46), სალგადო, სერხი, ბლანი (კეუმანი 46), მ. შუმახერი (ფიგუ 46), პირესი (შევჩენკო 46), ვან ნისტელროი, ზიდანი (ჟოაუ პინტუ 46), ს. კონსეისაუ (ზაპოვიჩი 46), ჟორჟე ანდრადე, ჯერემი

მაყური: არტურო დაუდენ იბანიესი (ესპანეთი) 40 000 მაყურებელი

კარგი დღესასწაული იყო. 2 ივლისს ლუზიტანიაში, პორტუს „ესტადიო მესაზე", ლიუმ ფიგუმ და მისმა მეგობრებმა დიდებული სპექტაკლი გამართეს.

ამჟამად ევროპის წამყვან ჩემპიონეტში ნანატრი არდადეგები სუფევს და ლუიმ ფიგუს მეგობრებმა და UNICEF-ის გუნდმა საქველმოქმედო-საღლაბუცო მატჩისთვისაც მოიცალეს.

ეს შერკინება გარდა მინდორზე ვარსკვლავებისა და მოწინააღმდეგის კარში გოლების ცვენისა, იმითაც გამოდგა საინტერესო, რომ ფორმულა 1-ის ყველა დროის ბრწყინვალე მრბოლის, ამგვარი მატჩების მუდმივი მონაწილის, მიხაელ შუმახერის საფეხბურთო ნიჭი ერთხელაც გამოამზეურა. სწორედ მან ზიდანთან და დეკოსთან ერთად პირველივე წუთიდან უჩვენა „ესტადიო ბესაზე" შეკრებილ საზოგადოებას შემტევი და ლაღი ბურთაობა.

იმასაც მოგახსენებთ, რომ UNICEF-ის გუნდს „რეალის" ყოფილი და ახლანდელი თავკაცები — ვისენტე დელ ბოსკე და კარლოს კეირუში ედგნენ დამრიგებლად, ხოლო „ფიგუს მეგობრებს" პორტუგალიის ნაკრების ბრაზილიელი მწვრთნელი ლუიმ ფელიპე სკოლარი.

საერთოდ, ორივე გუნდის შემადგენლობაში უფრო კასტილიური გრანდის მობურთალნი სჭარბობდნენ (ფიგუ, რაული, ზიდანი, მიჩელ სალგადო, რონალდო, მაკელელე), თუმც არც მსოფლიოს დანარჩენი კლუბების საფეხბურთო მნათობნი იყვნენ კაცნაკლულად, ვან ნისტელროისა და შევჩენკოს თამადობით.

მოკლედ, თამაში დაიწყო და არტისტულმა შეხვედრამაც მაყურებელი მაშინვე ჩითრია. თავიდან ფეხბურთელთა უმეტესობა (განსხვავებით ჟორჟე ანდრადესი და ვან ნისტელროისა) თავს სირბილით დიდად არ იწუხებდა და აჟურული ფინტ-ილეთებით ცდილობდნენ ფონს გასვლას. ვან ნისტელროიმ და ანდრადემ კი ორივე ტაიმი მათთვის ჩვეულ თავბრუდამხვევ სტილში ჩაატარეს.

ხუმრობა-ხუმრობაში პირველი გოლიც ეწვია პორტუულ არენას. დეკოს ძლიერი დარტყმის შემდეგ რაულმა დამატებაზე ყველას დაასწრო და რიკარდოს საჯარიმოში მცირე ვოიაჟის შემდეგ ქუსლურით გახსნა ანგარიში — 1:0.

UNICEF-ის ხალხს გაახსენდა, რომ თუმც სალლაბუცო, მაგრამ მაინც ფეხბურთის სათამაშოდ იყვნენ ჩასულნი „ესტადიო მესაზე" და დროის მცირე მონაკვეთში ჯერ სერჟიო კონსეისაუმ, ხოლო შემდეგ მიჩელ სალგადომ აკისრებინეს ბურთს კარის სილრმისეული მოგზაურობა.

მერე კი რონალდოს ჯერიც დადგა. რაულის კონტრშეტევისას ბურთი „კიჭას" მიუცურდა, იმან კი გასაოცარი სილამაზის, მართლაც ძველბრაზილიური გოლი გაიტანა.

მოედნის უგოლოდ დატოვების პერსპექტივამ ფრანგი ზინედინ ზიდანიც ვერაფრით მოხიბლა და შუმახერის შესანიშნავი პასის შემდეგ UNICEF-ი დაწინაურა. ეს მაშინ მოხდა, როდესაც რონალდოს გოლიდან სულ ორი წუთი იყო გასული და „ესტადიო მესა" ჯერ კიდევ წინა ეპიზოდით გახლდათ გაოგნებული.

ტაიმთა შორის ფიგუმ მაისურა გამოიცვალა და მოწინააღმდეგის რიგებს მიაშურა მიხაელ შუმახერის მსგავსად, რომელმაც ასევე ორივე გუნდის საჭე დააგემოვნა.

ცოტა ხანში ნაღდი საგოლე წვიმა წამოვიდა. ჯერ ვან ნისტელროიმ და პაულეტამ შეცვალეს შესაბამისად ტაბლოზე თანაფარდობა, ხოლო 67-ე წუთზე კემპბელს მოუხდა დამსწრეთათვის იმის შეხსენება, რომ ფეხბურთი ყოველთვის ფეხბურთია და სამსახიობო მატჩებსაც თან სდევს საწყენი კურიოზები. კემპბელმა ფიგუსგან ნასროლი ბურთი საკუთარ კარში ჩასჭრა — 3:5.

ხვდებით ალბათ, მსგავსი თეატრალური წარმოდგენა ეგზომ უიღბლოდ არ დამთავრდებოდა და ამაში უიღბლო ინგლისელ მცველს პაულეტა „დაეხმარა". თამაშის დამთავრებამდე მან ორი გადამრჩენი ბურთის გატანა მოახერხა და ამათგან მეორე კვლავ მიხაელ შუმახერის გადასარევი პასით შეაგდო.

გერმანელი პილოტი იმ დღეს საფეხბურთო მწვერვალზე იდგა. არბიტრ იბანესის საფინალო სასტვენის შემდეგ კი ვარსკვლავები ერთმანეთს გადაეხვივნენ. ერთი სიტყვით, მშვენიერი ფიესტა იყო.

ლადო ხომერიკი

REUTERS პორტუგალია

ამდენ დიდ ფეხბურთელს მიხაელ შუმახერმა უკაბიტნა

ფრანკ რაიკარდი შეგებულებას მოსწყდა

ნაარუბაევს

გუშინ ფრანკ რაიკარდი ბარსელონაში ჩავიდა და ახლა მან იცის და მისმა მარიფათმა.

რაიკარდი და ჰანკ ტენ კატე, ვინაც „ბარსელონაში" მეორე მწვრთნელად იმუშავებს, ერთად ისვენებდნენ კუნძულ არუბაზე და ცოლ-შვილიც თან ახლდათ. გუშინწინ კი მწვრთნელები ოჯახებს გამოემშვიდობნენ, მზეზე მიფიცხებულები დატოვეს და ამსტერდამში გაემგზავრნენ. იქ რაღაც მცირე საქმეები მოაგვარეს და ბარსელონას გზას გაუდგნენ.

სხვათა შორის, არუბაზე დიდი ჰოლანდიური სათვისტომო შეკრებილა, იქ ისვენებდნენ ფრანკ დე ბური და ფილიპ კოკუც, რომლებიც პლაჟის ფრენბურთით იქცევენ თურმე თავს.

რაიკარდის ჩასვლამდე „ბარსას" საქმეებს სპორტული დირექტორი ჩიკი ბეგირისტაინი და ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი უძღვებოდნენ. არუბელების ჩასვლის მერე კი სამწვრთნელო შტაბი სრულად შეიკრიბა — მესამე მწვრთნელი ეუსებიო საკრისტანია, მეკარეებს კი ხუან კარლოს უნსუე გაწვრთნის.

ბარსელონაში ჩასულმა რაიკარდმა თქვა, მე „ბარსას" მომავალი უნდა შევქმნა, „ბარსამ" კი როგორც მწვრთნელს სახელი უნდა გამითქვასო. კიდევ დასძინა, რაც იოჰან კრუიფისგან, არიგო საკისგან და ფაბიო კაპელოსგან მისწავლია, ყველაფერი აქ უნდა გამოვიყენოო.

გიორგი დარჯანია

ეგრე არ არის ბარსაო...



პატრიკ კლუივერტი

„ნიუკასლ იუნაიტედის" თავმჯდომარე ფრედი შეფერდი „ბარსელონას" ჰოლანდიელი ფორვარდის, პატრიკ კლუივერტის აგენტს ესაუბრა. ამბობენ, საუბარი საიდუმლო იყო, მაგრამ იმასაც ამბობენ, ამ საიდუმლო მოლაპარაკებაზე შეფერდი კლუივერტის აგენტს 2,1 მილიონ ევროს შესთავაზებდაო. მოგეხსენებათ, კატალონიელებმა ჰოლანდიელს ხელფასის შემცირება ჰკადრეს, ასეთ დროს კი კლუივერტის კონტრაქტის თანახმად, მისი გამოსყიდვა სწორედ 2,1 მილიონად გახდებოდა ნებისმიერისთვის შესაძლებელი.

კლუივერტი, მოგეხსენებათ, 26 წლისაა და წესით, წელიწადში 11,2 მილიონ ევროს უნდა იღებდეს... აქამდე ასე იღებდა. აგრეთვე მოგეხსენებათ, რომ „ნიუკასლ იუნაიტედის" მწვრთნელი ბობი რობსონი კლუივერტს ჯერ კიდევ ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენში" მუშაობის დროიდან იცნობს.

„ბარსელონადან" წასვლა არ მინდა, მაგრამ კლუბი ყველაფრის ისე მოწყობას ცდილობს, რომ მხოლოდ მისი ინტერესი დარჩეს გათვალისწინებული და პრობლემაც სწორედ ეს არის" — თქვა თავდამსხმელმა.

„ბარსას" ვიცე-პრეზიდენტი სანდრო როსელი:

„კლუივერტის წასვლა სულაც არ ნიშნავს სამყაროს დასასრულს. იმ ფულად, რომელსაც ის იღებს, ორ ფეხბურთელს ვიყიდით".

ამასობაში კი კლუივერტის გადაბირება „მანჩესტერ იუნაიტედის" ფორვარდმა, რუუდ ვან ნისტელროიმ ისე მოინდომა, რომ კლუბსაც აფიქრებინა ძალის მოსინჯვა.

„მე და პატრიკი თავდასხმაში მსოფლიოს უძლიერესი წყვილი გავხდებით" — განაცხადა ჰოლანდიელმა.

ბაბუნა კედია

კოსმოსური ოდისეა ბარსელონაში

ის, რაც კატალონიური „ბარსელონას“ სატრანსფერო ბაზარზე ხდება, თავისუფლად შეიძლება „ვარსკვლავეთის ომებად“ მოვნათლოთ. ჩვეულებრივ საფეხბურთო აჟიოტაჟს ახალმოვლენილმა ხუან ლაპორტას დირექციამ სასიკვდილო ლახვარი ჩასცა და ისედაც ანარქიულ კლუბსა და მის გულშემატკივრებს ვარსკვლავური საღერღელი საბოლოოდ აუშალა.

მართალია, ჯორჯ ლუკასის ფანტასტიკური სერიალისგან განსხვავებით, დღევანდელი შერკინებანი დედამიწაზე მიმდინარეობს და ციფრულ-ზებგერითი იარაღის მოვალეობასაც გირვანქები, ევროები და დოლარები ასრულებენ, მაგრამ კოსმოსური დინამიკა ხომ მაინც იგრძნობა და თანაც როგორ!

უპრიანი იქნება, აქაურ ომებს რამდენიმე ეტაპად თუ დავყოფთ, სადაც საერთოკოსმოსური თუ შიდა-კატალონურ ამბებს შესაბამისი აზარტით გადავხედავთ.

ამბობენ, კარლეს პუიოლი და ტიაგო მოტა „მილანს“ მონდომებიაო

შიდაესპანური ბრძოლები, ანუ დიდი ტრანსფერობა მშობლიურ გალაქტიკაში

ამ სამიოდე დღის წინ მზით დაფერილი ქალაქი ვალენსია დაძაბული შეხვედრის მომსწრე შეიქნა. არა, პრიმერადივიზიონისა ან სამეფო თასის მატჩზე არ მოგახსენებთ, ეს სულ სხვა მიმართულებისა და მუხტის დაპირისპირება გახლდათ.

საფეხბურთო კლუბ „ვალენსიას“ თავკაცნი ღირსეულ კატალონიელებს — სანდრო როსელისა და ჩიკი ბეგირისტაინს მასპინძლობდნენ. ორმხრივად პატივცემული თავყრილობის მიზეზს ესპანურ არგენტინული სიდიდის მნათობნი — ვალენსიელები, დავიდ ალბელდა და პაბლო აიმარი წარმოადგენდნენ.

ალბელდას მთელი „ბარსელონა“ შენატრის მწვრთნელი ფრანკ რაიკარდის თამადობით. ახლა კატალონიელებს სწორედ მისნაირი ნახევარმცველი სჭირდებათ, რათა მომავალი პრიმერას ფიცხელ იერიშებში ჩართულებმა შეტევასაც მეტი სიმწვავე შესძინონ და საკუთარ საჯარიმოსთანაც უხიფათოდ იგრძნონ თავი.

„ვალენსიამაც“ მშვენივრად უწყის საკუთარი ფეხბურთელის სიძლიერე და ხუან ლაპორტას ემისრებს ალბელდაზე ჯერჯერობით თავაზიან უარს ეუბნება.

არგენტინელი აიმარი კი საერთოდ ხელშეუხებლად — ბოდიში, უცხოგუნდშეუხებლად გამოაცხადეს.

„ეგ კაცი არ იყიდება“ — კასტილიურ დაშნასავით აძგერა რაფა ბენიტესმა სტუმრებს სატრანსფერო მეჯლისის დაწყებისთანავე.

„მოდით, ეს ერთობლივად გადავწყვიტოთ“ — უმალ შეაგება ბეგირისტაინმა დახვეწილად აგრესიული ბარსელონიზმი.

მიუხედავად ბენიტესის სამასპინძლო პრინციპულობისა, კატალონიელებმა კარგად იციან, დამრიგებელი არგენტინელით მთლად კმაყოფილი რომ ვერაა და აიმარის ხელში ჩასაგდებად უფრო და უფრო დახვეწილი ხერხებით იმოქმედებენ.

ჟურნალისტთა შეკითხვაზე, სავარაუდო სატრანსფერო თანხის შესახებ, სტუმარ-მასპინძელმა ენა მუცელში ჩაიგდო და ეს საკითხი დაინტერესებულ მუცლითმეზღაპრეთა გამოსაცნობად დატოვა.

გარდა ამ ორი ფეხბურთელისა, კოსმოსურ მეჯლისზე მომხვდურთა მხრიდან საამურად გაიჟღერა ისეთმა ცნობილმა გვარებმა, როგორიცაა რუბენ ბარახა და ვისენტე. დამხვდურთა „აკომპანიმენტი“ კი გაბრი, დანი და როჩემბაკი გახლდათ.

სანდრო როსელის ფქმით, მრავალი რამ, ზემოთ ნახსენებ მობურთალებთან დაკავშირებით, უახლოეს მომავალში გადაწყდება. ასე რომ, ვალენსიაში დაწყებული დიპლომატიური ასტროლოგია ბარსელონური ტელესკოპით იზომება.

პლანეტა იტალია, ანუ მეზობელი გალაქტიკის არეულობანი

სამშაბათს ბარსელონაში იტალიური „მილანის“ ექსპედიცია ჩაბრძანდა ტიაგო მოტასა და კარლეს პუიოლის საფეხბურთო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. ვინაიდან ჩვენთვის უკვე ნაცნობი მიზეზის გამო როსელი და ბეგირისტაინი კატალონიაში არ იმყოფებოდნენ, ადრიანო გალიანისა და არიედო ბრაიდას დელეგაცია თავად პრეზიდენტმა ხუან ლაპორტამ მიიღო.

მოტას ჩრდილო იტალიაში გადასაყვანად, „მილანი“ მზადაა, 12 მილიონი ევრო გადაიხადოს, თუმცა, ნაკლებად მოსალოდნელია, ბრაზილიელმა „ბარსაში“ გატარებული წარმატებული სეზონი დაივიწყოს და უცნობ აპენინურ სივრცეებს მიაშუროს. კატალონიურ გაზეთ „სპორტთან“ გასაუბრებისას ტიაგომ „ბარსელონაში“ დარჩენის სურვილი გამოთქვა.

კარლეს პუიოლის მიმართულებანი ჯერ უცნობია, მაგრამ „მილანში“ გადაბარგებას არც იგი ჩქარობს.

გალიანიმ კი ადგილობრივ ასტრონავტებს საკუთარი „მოძველებული“ მნათობების გაცვლითი ოპერაციები შესთავაზა. კოზმინ კონტრა, როკე ჟუნიორი, დემეტრიო ალბერტინი, ფაბრიციო კოლოჩინი და ხოსე მარი — აი, ის ხალხი, ვისთანაც დონ სილვიო ბერლუსკონის გუნდი სამომავლო თანამშრომლობას აღარ აპირებს.

„ბარსას“ იტალიური პაემნები მარტო „მილანით“ არ ამოიწურება. ხუან ლაპორტას აგენტები „რომას“ ბრაზილიელ ნახევარმცველ ემერსონით დაინტერესდნენ. იმავე „სპორტის“ ცნობით, კატალონიელები ემერსონში 25 მილიონი ევროს გაიღებენ, თუ, რა თქმა უნდა, ოკეანისგაღმელი მობურთალი ბარსელონაში თამაშზე თანახმა იქნება.

ემერსონი 27 წლისაა და „რომასთან“ კონტრაქტი 2005 წლამდე აკავშირებს. ბარსელონელები მას 3-სეზონიან ხელშეკრულებას სთავაზობენ წელიწადში 6-მილიონიანი ანაზღაურებით.

აპენინური ციებ-ცხელება კვლავ ძალაშია.

ვარსკვლავეთის ომში დაცემული რაინდები

რახან „ბარსამ“ ახალი და საიმედო ოსმალო რუშთუ შეიძინა, „კამპ ნოუ“ ორ ზედმეტ მეკარეს — რობერტო ბონანოსა და რობერტ ენკეს მოიშორებს. ამ ორი საფეხბურთო ჯედაის მიმართ ჩიკი ბეგირისტაინი ულმობელი გამოდგა. „გვინდა, „ბარსელონას“ კარის უსაფრთხოება მხოლოდ ორ ადამიანს ჩავაბაროთ — რუშთუსა და ვიქტორ ვალდესს“ — აღნიშნა კატალონიელთა სპორტულმა დირექტორმა ოდეს თურქი მეკარე საპრეზენტაციოდ წარადგინდა.

ბეგირისტაინის მიხედვით: „გვაქვს შემოთავაზება ენკეზეც და ბონანოზეც. საქმეები ცუდად არ მიდის და იმედი მაქვს, მცირე ხანში მათი მომავალიც გადაწყდება.“

ასეა, ბატონებო. ომი ომია, გალაქტიკური იქნება თუ სატრანსფერო, დანდობა არავინ იცის.

ლადო ხომერიკი



„ვალენსიამ“ პაბლო აიმარი ხელშეუხებლად გამოაცხადა



დავიდ ალბელდა (მარჯვნივ) ბარსელონელებს მარკ ოვერმარსთან დასაძმაკაცებლად უნდათ



ემერსონი დიდ ფულად შეფასდა

მგლის მადა

ბუნდესბუნაგში ვარსკვლავს ელიან

მადრიდის „რეალში“ დევიდ ბექემის გადასვლამ სხვა ევროპული ტრანსფერები გააუფასურა. ესპანეთი — ინგლისი, მანჩესტერი — მადრიდი, ბოლო თვეში წინადადებათა უმეტესობა ამ სიტყვებზე ეწყობოდა. ბევრს ეგებ, ბუნდესლიგისა და სხვა ლიგების არსებობის შესახებაც კი დაავიწყდა. ჰოდა, რადგან ბექემს „რეალის“ მაისურაში თავის გაყოფა ეღირსა, ორიოდ სიტყვა გერმანულ კლუბებზეც ვთქვათ.

ანდრეს დალესანდრომ ეგებ ვოლფსბურგულად დაიყმუვლოს

ჩემპიონთა ლიგაში ადგილდაბეჭებული „შტუტგარტიდან“ კრასიმირ ბალაკოვი რომ წავიდა, ცნობილია. იგი სამწვრთნელო ბანაკში გადაინაცვლებს და ფელიქს მაგათის დაეხმარება.

გუნდი რუმინელმა თავდამსხმელმა იოან განეამაც დატოვა. 29 წლის ფორვარდს კონტრაქტის ვადა გაუვიდა და თავისუფალი აგენტის იარლიყით თურქეთის გზას დაადგა. ერთი კვირის წინ „ბურსასფორი“ გეორგე ჰაჯიმ ჩაიბარა და თანამემამულე ბურსაში მან დაპატიჟა. განეამ გერმანელებთან ახალი კონტრაქტი აღარ გააფორმა და „კარპატელ მარადონას“ შეეკედლა.

„შტუტგარტმა“ თურქეთის „დენიზლისფორიდან“ მეკარე დირკ ჰაინენი წაიყვანა, რადგან კარის მეორე დარაჯი ტომას ერნსტი თავის მხრივ „კაიზერსლაუტერნმა“ გადაიბირა.

ჰაინენს ადრე ლევერკუზენის „ბაიერში“ და ფრანკფურტის „აინტრახტში“ უთამაშია. „აინტრახტში“ ყოფნისას მისი მწვრთნელი ფელიქს მაგათი გახლდათ. ასე რომ, დირკ ჰაინენი ძველ დამრიგებელს დაუბრუნდა. „ორი ძლიერი მეკარე კონკურენციისთვის გვჭირდება. მათგან უკეთესი ჩემპიონთა ლიგის მატჩებში ითამაშებს“ — თქვა „შტუტგარტის“ თავკაცმა.

„კაიზერსლაუტერნში“ გადაბარგებულ ტომას ერნსტს გუნდში ფინელი ლეგიონერი მიკა ნურმელა დახვდება. 31 წლის ნახევარმცველი ერიკ გერეტსის ხელში ორ წელიწადს გაატარებს. მას ფინეთის ნაკრების მაისურა 40-ჯერ მოურგია.

მომავალი სეზონისთვის ბრემენელი „მუსიკოსებიც“ ემზადებიან. „ვერდერმა“ მილანის „ინტერიდან“ თურქი უმით დავალა ითხოვა. დავალა 2005 წლამდე ინტერელთა საკუთრებაა და ბუნდესლიგელებს ფეხბურთელი დროებით დაუთმეს. „ვერდერის“ დირექტორის, კლაუს ალოფსის თქმით, ნახევარმცველი წელიწადში 600 ათას ევროს მიიღებს.

„მუსიკოსებს“ „სტრასბურის“ ფრანგი მცველი ვალერიან ისმაელიც შეუერთდა. მას „სტრასბურთან“ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და გერმანულმა გუნდმა იგი ერთი სეზონით იჯარით წაიყვანა. ვალერიან ისმაელს „კრისტალ პალასში“ და „ლანსშიც“ უთამაშია.

ზემოჩამოთვლილ ტრანსფერებთან შედარებით ვოლფსბურგელთა პრეტენზია გაცილებით სერიოზულია. არგენტინელ ანდრეს დალესანდროს ევრობობოლები დასდევენ და ამ დროს ფეხი ბუნდესმგლებმაც გამოყვეს.

გაზეთ „ვოლფსბურგერ ნახრიხტერის“ ცნობით, „რივერ პლეიტის“ ვარსკვლავს „მგლები“ ეთამაშებიან და არგენტინელებს 9 მილიონ ევროს სთავაზობენ. გუნდის პრესმდივანი კურტ რიპჰოლცი: „ანდრეს დალესანდრო რომ გვსურს, უკვე საიდუმლო აღარაა. თუ გარიგება შედგა, ეს კლუბის ისტორიაში სარეკორდო ტრანსფერი იქნება. ჩვენი ელჩი პეტერ პანდერი არგენტინაშია და იქაურებს ევაჭრება“.

იოან განეამ თურქეთისკენ გაიხედა

„ფრაიბურგის“ გეოგრაფია გაფართოვდა: ლიბანელი როდა ანტარი (მარჯვნივ) დაიმატა

ბუნდესლიგაში კვლავდაბრუნებულ „ფრაიბურგით“ დავასრულოთ. ქართველების თანაგუნდელი ლიბანელი როდა ანტარი გახდა. მან ფოლკერ ფინკეს გუნდთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 22 წლის ნახევარმცველი პირველი ლიბანელი ლეგიონერი გახლავთ ევროპაში. „ფრაიბურგში“ იგი „ჰამბურგიდან“ გადავიდა, სადაც 23 მატჩში ითამაშა და ორი გოლი მიითვალა.

ვაჟა ხუციშვილი

ათმილიონიანი გაპარვა სტამბოლიდან

ორტეგამ გადაიპიდა და დაიპიდა

არიელ ორტეგა გახსოვთ? ის, მარადონობას რომ უწინასწარმეტყველებდნენ. „ვალენსიას“, „სამპდორიასა“ და „პარმას“ ყოფილი მოთამაშე შარშან „ფენერბაჰჩეში“ ისეთი რიხით ჩავიდა, ნახევარი სტამბოლი და აეროპორტი ფანებმა კინაღამ დაანგრიეს.

თურქულმა კლუბმა „პარმადან“ „რივერ პლეიტში“ დაბრუნებული ორტეგა 2002 წლის ზაფხულში 8 მილიონ დოლარად შეიძინა. „ფენერბაჰჩეს“ ქომაგებს ეგონათ, ავშენდითო.

სეზონი და 29 წლის ფეხბურთელის ჭირვეულობა ერთად დაიწყო. თურქული ენა არ ან ვერ ისწავლა. გუნდში ესპანურად მოსაუბრე მხოლოდ ერთი კაცი — ჰაიმ რევივო ჰყავდა, რომელმაც საყველპურო ესპანური ვიგოს „სელტაში“ თამაშის დროს ისწავლა.

არგენტინელს გერმანელ მწვრთნელ ვერნერ ლორანტთან და ბევრ თანაგუნდელთან ტკბილი ურთიერთობა ნამდვილად არ ჰქონია. ორტეგას ჟურნალისტებიც ფეხდაფეხ დასდევდნენ და ერთმა ისიც კი დააბრალა, ღამღამობით სახლიდან იპარება და ლუდხანებში ლხინს ეძლევაო.

მას ჰაიმ რევივომ უადვოკატა, რას ჩმახავთ, ჩემთან ერთად ოთხში ზის და ტელევიზორს ვუყურებთ, რა ბარი, რის ლუდიო.

უსიამოვნებები ერთხელ რომ აგორდა, მერე ოვითდინებით წავიდა და დღე არ გავიდოდა, არგენტინელის მიმართ პრეტენზია არ გამოეთქვათ, ან პირიქით.

შარშან დეკემბერში ვერნერ ლორანტი გუნდიდან გაუშვეს და მის ნაცვლად თურქი ოგიუზ ჩეტინი დანიშნეს. ორტეგას არც თურქი ეხატებოდა გულზე და არც სტამბოლზე ამოსდიოდა მზე, სად არ ვყოფილვარ და ამისთანა მახინჯი ქალაქი არ მინახავსო.

„ფენერბაჰჩეს“ მაისურით სულ 17 მატჩში ითამაშა და 5 გოლი გაიფორმა. გასულ თებერვალს თურქეთში ყოფნა მოსწყინდა, გუდა-ნაბადი მხარზე გადაიკიდა, კლუბის ჩინოვნიკები კი ფეხებზე დაიკიდა და სამშობლოში გინებით გასწია.

გუნდიდან თვითნებურად წასული ფეხბურთელის გამო თურქებმა პასუხი რივერელებს მოსთხოვეს, საიდანაც მკვახე პასუხი მიიღეს, თქვენს მოთამაშეს თვითონვე უნდა მიხედოთო.

„ფენერბაჰჩეს“ პრეზიდენტმა აზიზ ილდირიმმა ფიფას კარზე მიაკაკუნა. ორტეგას ავჯანყებისა და წასვლის ამბავი დისციპლინარებს ფურცელზე ჩაწიკწიკებული მიართვა და არგენტინელი ფეხბურთელისთვის ჯარიმა გამოაწერინა.

ფიფას ჰალსტუხიანებმა დაადგინეს: არიელ ორტეგა ამა და ამ პუნქტის მიხედვით დამნაშავეა და „ფენერბაჰჩეს“ სასარგებლოდ 9 მილიონ 500 ათასი დოლარი უნდა გადაიხადოსო.



ფეხბურთელს ექვსთვიანი დისკვალიფიკაციაც აჰკიდეს და 2003 წლის 30 დეკემბრამდე ნებისმიერ კლუბში თამაში აუკრძალეს. ეს აკრძალვა, ცხადია, ნაკრებს არ ეხება.

როგან თურქია

ამჯანაგური მატჩები

პარაგვაი 1:0 სალვადორი

1:0 ზამუდიო (2)

პერუ 2:1 გვატემალა

1:0 რ. სილვა (14), 2:0 ორეხუელა (34), 2:1 გ. რომერო (82ჯ)

განმეორდა როგორც ფოე

ერთი კვირის წინ მოედანზე მარკ ვივიენ ფოეს გული გაუჩერდა და სიკვდილის მიზეზი ჯერაც გაურკვეველია. მერე ირანში ერთმა მოთამაშემ გოლის გამტან მეტოქეს სასიკვდილოდ დაარტყა. შავი სერია ბრაზილიაში გაგრძელდა, სადაც 20 წლის ფეხბურთელი გარდაიცვალა.

მესამე დივიზიონის „ბოტაფოგო“ რიბეირაო-პრეტოს გუნდია. ამ გუნდში თამაშობდა მაქსიმილიან პატრიკ ფერეირა, მეტსახელად „მაქსი“. იგი ბავშვობიდან „ბოტაფოგოში“ იყო და ექიმებს არ ახსოვთ, რომ უჯანობაზე ოდესმე სერიოზულად დაეჩივლა.

გიშინწინდელი ვარჯიშის დროს მწვრთნელს ერთი კი უთხრა, თავბრუ დამეხვაო და დაეცა. რასაკვირველია, იქაურებს მარკ ვივიენ ფოეს ამბავი ეცოდინებოდათ და სასწრაფოდ ჰოსპიტალში გააქანეს. ექიმთა მცდელობის მიუხედავად, „მაქსი“ ვერ გადაარჩინეს.

„ბოტაფოგოს“ ექიმმა ალექსანდრ ვეგამ მხოლოდ ეს თქვა: „ნებისმიერი ტესტირების დროს მას შესანიშნავი მონაცემები ჰქონდა. ამიტომ ჯერ არ ვიცით, რა იყო უეცარი სიკვდილის მიზეზი.“

ვაჟა ხუციშვილი

სამკურნალო გაერთიანება „ლიგა“

დახმარება მსოფლიო სტანდარტების დონეზე

სექსოპათოლოგიის კლინიკა

- ერექციის ხარისხის გაუმჯობესება;
- სქესობრივი აქტის გახანგრძლივება;
- წარუმატებლობის მოლოდინის შიშის მოხსნა;
- სექსუალური ცხოვრების აღდგენა შემდეგი დაავადებების ფონზე:
  პროსტატიტი, შაქრიანი დიაბეტი, ტრავმები, ინვალიდობა, გულ-სისხლძარღვთა და ნევროლოგიური დაავადებები.

ანონიმურობა დაცულია ტელ: 32 21 21

ვაქცინაციის ცენტრი

- ფართო სპექტრის მომსახურება „ავენტის-პასტერის“ ვაქცინებით (საფრანგეთი-ლიონი)
  წინასწარი ჩაწერა ტელეფონით: 32-44-78

სამკურნალო-დიაგნოსტიკური გაერთიანება „ლიგა“
თბილისი 380086, ვაჟა-ფშაველას გამზ. 83/11, ტელ: 32 21 21; 32 21 15

Copa Toyota Libertadores '2003

ლიბერტადორესის თასი 2003

ფინალი. საპასუხო მატჩი

სანტოსი (ბრაზილია) 1:3 ბოკა ხუნიორსი (არგენტინა) (0:2)

0:1 ტევესი (21), 1:1 ალეში (75), 1:2 დელგადო (84), 1:3 სკიავი (90)

სანტოსი: ფაბიო კოშტა, ველინგტონი (ნენე 30), ანდრე ლუისი, ალეში, ლეო, პ. ალმეირა, რენატო, დიეგო, ფაბიანო, რობინიო, რიკარდო ოლივეირა (დუგლასი 68)

ბოკა ხუნიორსი: აბონდანსიერი, იბარა, სკიავი, ბურდისო, კ. როდრიგესი, ვილიარეალი (ხერესი 89), კანია (კანეო 88), ბატალია, კასკინი, ტევესი (კანგელე 90), მ. დელგადო

მსაჯი: ხორხე ლარიონდა (ურუგვაი)

73 103 მაყურებელი



კარლოს ტევესის გოლმა „სანტოსის" ამოცანა არქისირთულისა გახადა

კოპას სიგიჟეები

გაგონილა, მსაჯს თამაშისას ბარათი მოჰარეს?!

ჭკუაზე შემცდარ კაცს რა მოეთხოვება?

წამატებულ წუთებზე „სანტოსის" მეკარე ფაბიო კოშტა ძალიან უხეშად ეთამაშა მეტოქეს, გაშლილი ტყუპი ფეხი ჩაუზილა. ურუგვაელმა არბიტრმა ხორხე ლარიონდამ უყოყმანოდ და სრულიად სამართლიანად პენალტი დანიშნა. იმ დროისთვის „ბოკა ხუნიორსი" ორი მატჩის ჯამში 4:1 იგებდა და, ცხადია, „სანტოსს" მატჩის გადარჩენის თეორიული შანსიც აღარ ჰქონდა. აქედან გამომდინარე, ის პენალტი გინდ დანიშნულიყო, გინდ არა — აღარაფერს წყვეტდა. და როგორ მოიქცნენ ბრაზილიელები ამ დროს? არბიტრს შემოეხვივნენ და ჩხუბი დაუწყეს, პენალტი რატომ დანიშნეო. ხოლო სანტოსელთა კაპიტანმა პაულო ალმეიდამ არბიტრს ჯიბეში ხელი ჩაუყო, ყვითელი ბარათი ამოაცალა და აუფრიალა.

ამის მერე ვინმე იტყვის, რომ ალმეიდა სრულ ჭკუაზე იყო?

„ბოკას" პირველი თამაში 2:0 ჰქონდა მოგებული და სან პაულოში ჩასულს ერთი მიზანიღა ჰქონდა — როგორმე ორი ან მეტი ბურთის სხვაობით არ წაეგო (ლიბერტადორესის თასზე მეტოქის მოედანზე გატანილ გოლებს უპირატესობა არ ენიჭება). არგენტინელებმა ტაქტიკაც სათანადოდ შეარჩიეს — კონტრშეტევებზე თამაში, რასაც უთუოდ უნდა გამოეღო შედეგი, რაკი გამოუვალ მდგომარეობაში მყოფ „სანტოსს" უკანმოუხედავად უნდა შეეტია.

მატჩი მასპინძელთა ორი უაღრესად სახიფათო იერიშით დაიწყო. ჯერ იყო და, ალეშის თავური ნახევარმცველმა ხავიერ ვილიარეალმა ზედ კარის ხაზიდან გამოიტანა, მერე კი რობინიოს თავურითვე ბურთი ოდნავ აცდა კარს.

ამის მერე გოლიც გავიდა, ოღონდ „სანტოსის" კარში და ბრაზილიელთა ამოცანა არქისირთულისა შეიქნა. ეს გოლი 19 წლის ბოკელმა კარლოს ტევესმა გაიტანა.

მაგრამ „სანტოსი" არ დანებდა, შეტევებს უხშირა, თუმცაღა მცდელობამ ნაყოფი მხოლოდ 75-ე წუთზე გამოიღო, როცა ალეშმა 30 მეტრიდან ზუსტად გაისროლა. დარჩენილ 15 წუთში „სანტოსს" კიდევ ორი გოლი სჭირდებოდა, საქმე პენალტების სერიამდე რომ მიეყვანა.

ასეთ შემთხვევებში ხშირად მეკარეებიც ჩადიან მეტოქის საჯარიმოში და ფაბიო კოშტამაც ეს განიზრახა. მაგრამ მოედნის გადაკვეთა არ დასცალდა — ბურთი უეცრად არგენტინელებმა მოიგდეს და მარსელო დელგადომ 40 მეტრიდან ცარიელ კარს დაუმიზნა.

ხოლო რა მოხდა ბოლოს, ამის თაობაზე თავში მოგახსენეთ.

ამგვარდა, „ბოკა ხუნიორსმა" ბოლო ოთხ წელიწადში მესამედ მოიგო ევროპული ჩემპიონთა ლიგის სამხრეთამერიკული ანალოგი ტურნირი. „ბოკა" გაუთანაბრდა ურუგვაულ „პენიაროლს", რომელსაც ასევე 5-ჯერ აქვს მოგებული ლიბერტადორესის თასი, რეკორდსმენი კი არგენტინული „ინდიპენდიენტეა" 7 თასით.

რეკორდსმენი შეიქნა „ბოკას" დამრიგებელი კარლოს ბიანკიც, რომელისთვისაც ეს მეოთხე თასია. მან სამჯერ „ბოკას" მოაგებინა კოპა ლიბერტადორესი, ერთხელ კი „ველეს სარსფილდს".

გიორგი დარჯანია





პაულუ ალმეიდა კარლოს ბიანკის სიხარულმა გადარია



ბოკიტო

დიეგო არმანდო მარადონამ, „ბოკას" ოდინდელმა მოთამაშემ და გიჟმა გულშემატკივარმა, თავისიანთა გამარჯვება რომ შეიტყო, სიხარულით ხტუნვა დაიწყო, მაგრამ ორიოდე კურცხალიც გადმოაგდო, ვაი, რომ სან პაულუში ვერ ჩავედი თამაშის სანახავადო.

„ვერ წარმოიდგენთ, როგორ გავიხარე „ბოკიტოს" (პატარა ბოკა) გამარჯვებით, მაგრამ ამავე დროს უბედური კაცი ვარ, თამაშს რომ ვერ დავესწარი. მოუთმენლად ველი, კასეტას როდის გამომიგზავნიან" — თქვა დიეგო არმანდომ რადიოინტერვიუში.

ხოლო სან პაულუში ჩასვლა მარადონამ იმიტომ ვერ მოახერხა, რომ კვლავაც კუბაშია და კოკაინისტობისგან ინკურნება.

კარლოს ბიანკი, *„ბოკა ხუნიორსის" მწვრთნელი: „ბოკა" მართლაც უძლიერესი გუნდია და ვისაც არ სჯეროდა, ახლა მაინც აღარ შეეპარება ეჭვი. ჩვენ აბსოლუტურად დამსახურებულად გავიმარჯვეთ ძალიან კარგ გუნდთან უმნიშვნელოვანეს მატჩში. ყველაფერი გამოგვდიოდა, მეტოქე კი უპირველესად იმის ხარჯზე დავჯაბნეთ, რომ სივრცეები შევუზღუდეთ.*

თუმც ჩვენს სიხარულს ერთი გარემოება ჩრდილს აყენებს. ეს „რივერ პლეიტის" გულშემატკივართა საქციელია. ისინი „სანტოსს" ქომაგობდნენ. ჩემთვის ეს გაუგებარია. ლიბერტადორესის თასი არგენტინის ჩემპიონატი ხომ არ არის? ფინალში არგენტინული და ბრაზილიური გუნდები შეხვდნენ და გაუგებარია, როგორ შეიძლება არგენტინელმა კაცმა ამ დროს ბრაზილიელებს უქომაგოს.

ემერსონ ლეალ, *„სანტოსის" მწვრთნელი: დამარცხების მიუხედავად ჩემი გუნდით ვამაყობ. ვერავინ იტყვის, ფეხბურთელებმა თავი არ დადესო. მაშინაც კი, როცა მატჩის ბედი ფაქტობრივად გადაწყვეტილი იყო, დანებება არავის უფიქრია. დიახ, ჩვენ გვქონდა შეცდომები, მაგრამ გუნდი, რომლის მოთამაშეთა საშუალო ასაკი 23 წელიც არ არის და ფინალში გადის, მხოლოდ ქების ღირსია.*

თასის ყველა მფლობელი

1960 ---------- პენიაროლი (ურუგვაი)	1982 ---------- პენიაროლი (ურუგვაი)
1961 ---------- პენიაროლი (ურუგვაი)	1983 ---------- გრემიო (ბრაზილია)
1962 ---------- სანტოსი (ბრაზილია)	1984 ------ ინდეპენდიენტე (არგენტინა)
1963 ---------- სანტოსი (ბრაზილია)	1985 ------- არგ. ხუნიორსი (არგენტინა)
1964 ------ ინდეპენდიენტე (არგენტინა)	1986 ------- რივერ პლეიტი (არგენტინა)
1965 ------ ინდეპენდიენტე (არგენტინა)	1987 ---------- პენიაროლი (ურუგვაი)
1966 ---------- პენიაროლი (ურუგვაი)	1988 ---------- ნასიონალი (ურუგვაი)
1967 ---------- რასინგი (არგენტინა)	1989 - ატლეტიკო ნასიონალი (ურუგვაი)
1968 ------- ესტუდიანტესი (არგენტინა)	1990 ---------- ოლიმპია (პარაგვაი)
1969 ------- ესტუდიანტესი (არგენტინა)	1991 ---------- კოლო კოლო (ჩილე)
1970 ------- ესტუდიანტესი (არგენტინა)	1992 ---------- სან პაულუ (ბრაზილია)
1971 ---------- ნასიონალი (ურუგვაი)	1993 ---------- სან პაულუ (ბრაზილია)
1972 ------ ინდეპენდიენტე (არგენტინა)	1994 --- ველეს სარსფილდი (არგენტინა)
1973 ------ ინდეპენდიენტე (ჟრგენტინა)	1995 ---------- გრემიო (ბრაზილია)
1974 ------ ინდეპენდიენტე (არგენტინა)	1996 ------- რივერ პლეიტი (არგენტინა)
1975 ------ ინდეპენდიენტე (არგენტინა)	1997 ---------- კრუზეირო (ბრაზილია)
1976 ---------- კრუზეირო (ბრაზილია)	1998 --------- ვასკუ და გამა (ბრაზილია)
1977 ------- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	1999 ---------- პალმეირასი (ბრაზილია)
1978 ------- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)	2000 ------- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
1979 ---------- ოლიმპია (პარაგვაი)	2001 ------- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)
1980 ---------- ნასიონალი (ურუგვაი)	2002 ---------- ოლიმპია (პარაგვაი)
1981 ---------- ფლამენგო (ბრაზილია)	2003 ------- ბოკა ხუნიორსი (არგენტინა)

სარგებელი: კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		შვედეთი. XIII ტური						
		6 ივლისი						
20.00	004	ესკილსტუნა-სუნდსვალი	2,45	3,2	2,6	1,38	1,26	1,43
20.00	005	ჰალმსტადი-იოსტგრი	1,45	3,8	7,0	1,04	1,2	2,46
20.00	006	ლანდსკრონა-იორგბრო	2,15	3,2	3,2	1,28	1,28	1,6
		7 ივლისი						
22.00	007	ელფსბორგი-ჰალმია	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
22.00	008	გოთენბორგი-აიკ	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46
		ამხანაგური მატჩები						
		5 ივლისი						
03.05	038	ეკვადორი-ნიგერია	2,6	3,1	2,5	1,41	1,27	1,38
		ინტერტოტო თასი. II ეტაპი. I მატჩები						
		5 ივლისი						
20.00	019	პობელა(ჰოლანდია)-ჰაბინგი(აუსტრია)	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62
20.00	024	შარტიორი(ბელარუსი)-ჩიბალია(ხორვატია)	2,4	3,2	2,7	1,37	1,27	1,46

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	028	იორგრიტე(შვედეთი)-ნიცა(საფრანგეთი)	2,5	3,2	2,5	1,4	1,25	1,4
20.15	032	მარეკი(ბულგარეთი)-ვოლფსბურგი(გერმანია)	3,1	3,3	2,15	1,59	1,26	1,3
21.00	021	დაჩია(მოლდოვა)-პარტიზანი(ალბანეთი)	1,75	3,3	4,4	1,14	1,25	1,88
21.00	022	კოპერი(სლოვენია)-დუბნიცა(სლოვაკეთი)	1,7	3,4	4,6	1,13	1,24	1,95
22.00	026	ოუნი(შვეიცარია)-ბრნო(ჩეხეთი)	1,95	3,3	3,5	1,22	1,25	1,69
22.30	020	სლობოდა(ბოსნია)-ლიერსი(ბელგია)	2,6	3,3	2,4	1,45	1,24	1,38
22.30	033	ტილბურგი(ჰოლანდია)-ვილი(შვეიცარია)	1,6	3,6	5,0	1,1	1,21	2,09
23.30	025	ბრესა(იტალია)-გლიერია(რუმინეთი)	1,4	4,0	7,5	1,03	1,17	2,6
		6 ივლისი						
20.00	023	სტ.ტრუიდენი(ბელგია)-ტობოლი(ყაზახეთი)	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
20.00	030	სინოტი(ჩეხეთი)-ოფკ(სერბია)	1,9	3,3	3,6	1,2	1,24	1,72
20.30	031	ლიბერეკი(ჩეხეთი)-შემროკი(ირლანდია)	1,3	4,6	9,0	1,01	1,13	3,04
21.00	027	რასინგი(ესპანეთი)-ეტო(უნგრეთი)	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21
21.00	029	აკრატიტოსი(საბერძნეთი)-ალიანსი(ფინეთი)	1,7	3,5	4,4	1,14	1,22	1,94
21.00	034	ტამპერე(ფინეთი)-სუტიესკა(სერბია)	2,1	3,2	3,3	1,26	1,28	1,62

სარგებელი

სპორტული ლატარია

GROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დილომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დილომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
ბორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ალმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
ქობულეთი	სასტუმრო „ივერიის“ მიმდებარე ტერიტორია	
სარფი	საბაჟო პუნქტის პირდაპირ	

ფორმულა 1. საფრანგეთი. 5 ივლისი. (12.00)

4001 გამარჯვებული		სამეული		ექვსეული		4002 უსწრ. ფრე
მ.შუმახერი	1,85	4101	1,15	4201	1,1	1,85
ბარიჩელო	7,0	4102	2,1	4202	1,3	6,0
რაიკონენი	5,0	4103	1,65	4203	1,25	4,6
მონტოია	5,0	4104	1,9	4204	1,3	4,8
კულტჰარდი	15,0	4105	3,5	4205	1,5	10,0
რ.შუმახერი	5,6	4106	2,0	4206	1,25	6,0
ალონსო	20,0	4107	4,4	4207	1,5	17,0
ტრული	40,0	4108	7,0	4208	2,0	35,0
ბატონი	75,0	4109	15,0	4209	2,5	75,0
ვილნევი	75,0	4110	15,0	4210	3,2	100,0
ფიზიკელა	75,0	4111	15,0	4211	3,2	100,0
პანისი	75,0	4112	15,0	4212	3,2	100,0
ვებერი	75,0	4113	15,0	4213	3,2	100,0
ფრენცენი	100,0	4114	25,0	4214	3,2	100,0
ჰაიდფელდი	100,0	4115	25,0	4215	3,2	100,0
დი მატა	100,0	4116	25,0	4216	3,2	100,0

4301 გამარჯვებული გუნდი	
ფერარი	1,4
მაკლარენი	3,0
უილიამსი	6,0
რენო	15,0
ზაუბერი	30,0
ბარ	30,0
ტოიოტა	50,0
ჯორდანი	60,0
იაგუარი	75,0
მინარდი	100,0

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტეთ

William HILL

უილიამ ჰილი (დიდი ბრიტანეთი)

	1	X	2
ამხანაგური მატჩი			
6 ივლისი			
აშშ — პარაგვაი	2,2	3,0	3,0
შვედეთი. XIII ტური			
6 ივლისი			
ენკიოპინგი — სუნდსვალი	2,4	3,1	2,6
ჰალმსტადი — იოსტერი	1,44	3,6	6,5
ლანდსკრონა — იორებრო	2,25	3,2	2,75
7 ივლისი			
ელფსბორგი — მალმიო	2,5	3,1	2,5
გიოტებორგი — აიკ	2,5	3,1	2,5
ინტერტოტოს თასი. II ეტაპი. I მატჩები			
5 ივლისი			
კოპერი — დუბნიცა	1,66	3,4	4,33
ტამპერე — სუტიესკა	2,1	3,3	2,87
იორგრიტე — ნიცა	2,6	3,1	2,4
შახტიორი — ციბალია	2,2	3,3	2,75
პობედა — პაშინგი	2,0	3,2	3,2
მარეკი — ვოლფსბურგი	3,2	3,2	2,0
დაჩია — პარტიზანი	1,66	3,4	4,33
აკრატიტოსი — ალიანსი	1,72	3,4	4,0
თუნი — ბრნო	1,83	3,4	3,5
სლობოდა — ლიერსი	2,5	3,25	2,4
ტილბურგი — ვილი	1,57	3,5	5,0
ბრეშა — გლორია	1,44	3,6	6,5
6 ივლისი			
სტ. ტრუიდენი — ტობოლი	1,25	5,0	8,0
სინოტი — ოფკ	1,83	3,4	3,5
ლიბერეცი — შემროკი	1,25	5,0	8,0
რასინგი — ეტო	1,25	5,0	8,0
არგენტინა. კლაუსურა. ბოლო ტური			
4 ივლისი			
არსენალი — ხიმნასია	2,2	3,2	2,8
5 ივლისი			
ნუევა ჩიკაგო — ბამფილდი	1,61	3,5	4,5
ჩაკარიტა — ოლდ ბოიზი	2,25	3,2	2,75
ტალერესი — ლანუსი	2,2	3,3	2,7
კოლონი — ველესი	2,4	3,4	2,4
ინდეპენდიენტე — სან ლორენცო	2,4	3,25	2,5
6 ივლისი			
რივერ პლეიტი — რასინგი	1,57	3,5	5,0
ესტუდიანტესი — უნიონი	1,4	3,75	7,0
როსარიო — ბოკა ხუნიორსი	2,1	3,3	2,7
ბრაზილია. XVI ტური			
5 ივლისი			
ფიგუირენსე — კრუზეირო	2,8	3,2	2,2
სან პაულუ — სან კეტანო	1,72	3,25	4,2
ვასკო და გამა — პარანა	1,57	3,5	5,0
ატლეტიკო მინეირო — პაისანდუ	1,4	3,75	7,0
6 ივლისი			
ატლეტიკო პარანაენსე — კორინთიანსი	2,1	3,2	3,0
ფორტალეზა — კრისიუმა	2,1	3,2	3,0
გრემიო — ფლამენგო	2,0	3,2	3,2
გუარანი — გოიასი	1,44	3,6	6,5
ჟუვენტუდი — ინტერნაციონალი	2,5	3,25	2,4
ვიტორია — პონტე პრეტა	1,5	3,6	5,5
ფლუმინენსე — ბაია	1,61	3,5	4,5
სანტოსი — კურიტიბა	1,72	3,25	4,2

WETTBÜRO SCHWECHAT

Jeder kann gewinnen

ვეტენ შვეჰატი (ავსტრია)

	1	X	2
შვედეთი. XIII ტური			
6 ივლისი			
ენკიოპინგი — სუნდსვალი	2,4	3,0	2,4
ჰალმსტადი — იოსტერი	1,45	3,5	5,5
ლანდსკრონა — იორებრო	2,2	3,2	2,5
7 ივლისი			
ელფსბორგი — მალმიო	2,5	3,2	2,2
გიოტებორგი — აიკ	2,3	3,2	2,4
შვედეთი. II ლიგა. XIII ტური			
6 ივლისი			
ბოდენი — სილვია	1,8	3,2	2,4
ასურისკა — იფკ	1,9	3,2	3,1
7 ივლისი			
გეფლე — ბრომაპოჟკარნა	2,3	3,2	2,4
ოსტერასი — კაფე ოპერა	1,8	3,2	3,3
ინტერტოტოს თასი. II ეტაპი. I მატჩები			
5 ივლისი			
აკრატიტოსი — ალიანსი	1,65	3,4	3,8
იორგრიტე — ნიცა	2,4	2,9	2,5
თუნი — ბრნო	1,85	3,2	3,3
ბრეშა — გლორია	1,45	3,4	5,6
მარეკი — ვოლფსბურგი	2,5	3,2	2,2
შახტიორი — ციბალია	2,3	3,2	2,4
ტილბურგი — ვილი	1,6	3,4	4,0
პობედა — პაშინგი	2,1	3,2	3,3
სლობოდა — ლიერსი	2,5	3,2	2,2
დაჩია — პარტიზანი	1,75	3,3	3,5
კოპერი — დუბნიცა	1,7	3,3	3,7
6 ივლისი			
ტამპერე — სუტიესკა	2,0	3,1	2,9
სინოტი — ოფკ	1,75	3,3	3,5
რასინგი — ეტო	1,3	4,0	7,0
ლიბერეცი — შემროკი	1,25	4,5	7,0
სტ. ტრუიდენი — ტობოლი	1,25	4,5	7,0
არგენტინა. კლაუსურა. ბოლო ტური			
4 ივლისი			
არსენალი — ხიმნასია	2,1	3,2	2,7
5 ივლისი			
ნუევა ჩიკაგო — ბამფილდი	1,7	3,3	3,7
ჩაკარიტა — ოლდ ბოიზი	2,3	3,2	2,4
ტალერესი — ლანუსი	2,2	3,2	2,5
კოლონი — ველესი	2,3	3,2	2,4
ინდეპენდიენტე — სან ლორენცო	2,3	3,2	2,4
6 ივლისი			
რივერ პლეიტი — რასინგი	1,55	3,6	4,2
ესტუდიანტესი — უნიონი	1,4	3,6	6,0
როსარიო — ბოკა ხუნიორსი	2,1	3,2	2,7
ბრაზილია. XVI ტური			
5 ივლისი			
ფიგუირენსე — კრუზეირო	2,4	3,2	2,3
სან პაულუ — სან კეტანო	1,7	3,3	3,7
ვასკო და გამა — პარანა	1,55	3,6	4,2
ატლეტიკო მინეირო — პაისანდუ	1,55	3,6	4,2
6 ივლისი			
ატლეტიკო პარანაენსე — კორინთიანსი	2,1	3,2	2,7
ფორტალეზა — კრისიუმა	1,9	3,3	3,0
გრემიო — ფლამენგო	2,1	3,1	2,7
გუარანი — გოიასი	1,55	3,6	4,2
ჟუვენტუდი — ინტერნაციონალი	2,3	3,2	2,4
ვიტორია — პონტე პრეტა	1,6	3,4	4,0
ფლუმინენსე — ბაია	1,6	3,4	4,0
სანტოსი — კურიტიბა	1,7	3,3	3,7

ზაზა, თავი დაიფასე!

სტეფანია ფაჩულიას ამერიკას ასწავლის

ყველას გვახსოვს, ნბა-ს ქართველი პიონერი ვლადიმერ სტეფანია 1998 წლის დრაფტზე, „სიეტლ სუპერსონიკსმა“ 27-ე ნომრად რომ აირჩია. მას აქეთ ვოვა უკვე მეოთხე კლუბშია, მოლხენაზე ბევრად მეტი უწვალია და საშუალო დონეს ახლალა მიაღწია. დაახლოებით ასეთი წვალება ელის წლეულს ნადრაფტალ ზაზა ფაჩულიასაც, „ორალნდო მეჯიქის“ 42-ე რჩეულს. ვლადიმერ სტეფანია საკუთარი გამოცდილებიდან გვესაუბრება ფაჩულიას ორლანდოურ შანსებზე. მკითხველისთვის არც სტეფანიას მაიამური ამბები უნდა იყოს უინტერესო, მით უფრო ახლა, როცა მას ეს-ესაა, დაუმთავრდა „მაიამისთან“ კონტრაქტი



ბადრი კვიტელაძის ფოტო



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკის ფოტო

ნბა-ში ჰიპმოჰრილი ვოვა სტეფანიას გამოცდილება ზაზა ფაჩულიას წაადგება

— 1 ივლისიდან უკვე ოფიციალურად გავხდი თავისუფალი აგენტი. სად ვითამაშებ, ჯერ არ ვიცი. დღესდღეობით ყველაზე რეალური ვარიანტი ისევ „მაიამია“.

— მაიამელებს კონკრეტული წინადადება ხომ არ შემოუთავაზებიათ?

— არა, თავისუფალ აგენტთა სატრანსფერო სეზონი 16 ივლისს იხსნება.

— მაშ, რატომ ფიქრობ, რომ ყველაზე რეალური „მაიამია“?

— რატომ და რამდენიმე დღეა, კონტრაქტი დამიმთავრდა და ისევ აქ ვვარჯიშობ. მაიამელებს რომ არ ვუნდოდე, უფრო სწორად, ჩემზე რომ არ ფიქრობდნენ, თავიდანვე მეტყოდნენ და დღეს მათთან აღარ ვიქნებოდი. აქ ყველაზე კარგად იციან ჩემი შესაძლებლობები და საბოლოო სიტყვასაც მალე მეტყვიან.

— ესე იგი, მაიამელთა სიტყვას ელი და თუ გითხრეს, დარჩები...

— გააჩნია, როგორ პირობებს შემომთავაზებენ, ერთწლიან და იაფფასიან კონტრაქტს არც „მაიამის“ გავუფორმებ და არც „სან ანტონიოს“. ჩემი ასაკის კალათბურთელისთვის, ანუ კარიერის შუა პერიოდში მყოფისთვის რამდენიმეწლიანი კონტრაქტია ხელსაყრელი. ასე კლუბ-კლუბ ხეტიალი და იმაზე ფიქრი, გამიგრძელებენ თუ არა კონტრაქტს, ყელში ამომივიდა.

— კარგ კონტრაქტს კარგ მოთამაშეებს უფორმებენ. როგორ ფიქრობ, იმსახურებ დიდ ხელფასს?

— ისეთ კონტრაქტს არ ვითხოვ, მილიონების თვლაში თავბრუ რომ დაგეხვევა, ერთწლიანი და ერთმილიონიანი კონტრაქტის ღირსი კი ნაღდად არ ვარ, მეტს ვიმსახურებ. დიდი წარმოდგენა არ მაქვს საკუთარ თავზე, თუმც უამრავი მაგალითის მოყვანა შემიძლია, ჩემზე მეტს რომ იღებენ და ბევრით ვერაფრით მჯობიან. მინდა, ისეთი კლუბი მოვნახო, 3-4 წლით რომ ამიყვანს, თორემ ერთიანს, ორიანსაც კი, უპრობლემოდ გავაფორმებდი.

— „მაიამის“ ფული არ უნდა უჭირდეს, ალონზო მურნინგის წასვლა თითქმის გადაწყვეტილია და გვარიანი ფული გამოთავისუფლდება სახელფასო ფონდში...

— მეც ასე მეგონა, მაგრამ არც ეგრე ყოფილა საქმე. დავიცადოთ, რას ვკარგავ, თუ კარგ სიტყვას მეტყვიან, მეც ეგ არ მინდა?! ისე, კლუბიდან უკვე გაუშვეს ლაფონსო ელისი, ედი ჰაუსს და მაიკ ჯეიმსს კი კონტრაქტის გაგრძელებაზე უარი უთხრეს.

— ორლანდოში 8 ივლისს საზაფხულო ლიგა იწყება, რომელშიც „მაიამიც“ მიიღებს მონაწილეობს. თუ კიდევ რამე გაქვს მაიამელთათვის დასამტკიცებელი, ამას ორლანდოში ხომ არ აპირებ?

— არა, რა მინდა ორლანდოში, ეგ ბავშვების, ახალწვეულების კემპია. სულ სხვაა თავისუფალ აგენტთა ლიგები, რომლებიც აგვისტოსექტემბერში ეწყობა ხოლმე. მანამდე კონტრაქტი უნდა მქონდეს.

— სხვა კლუბები ხომ არ შემოგხმიანებიან?

— ჯერ არა. ვისაც ვაინტერესებ, 16 ივლისიდან გააქტიურდება.

— თავისუფალი აგენტები წლეულს ბევრნი არიან, დიდი კონკურენცია იქნება...

— არა, ჩემს პოზიციაზე არცთუ დიდი კონკურენციაა. სოლიდური ცენტრები დაახლოებით ხუთნი ვართ — მაიკლ ოლოვოკანდი, ვლადე დივაცი, ბრედ მილერი, რაშო ნესტეროვიჩი... მერე ალბათ მე მოვდივარ. მსურველები კი გამომიჩნდებიან, მაგრამ საქმე ისაა, ვინ რომგორ პირობებს შემომთავაზებს.

— შენთვის კლუბს არ აქვს მნიშვნელობა?

— არა, მთავარია, კარგი პირობები მქონდეს. დამიჯერე, აქ ყველა ამას ცდილობს. ჩემპიონობაზე და პლეი ოფზე მხოლოდ ისინი ფიქრობენ, ვისაც აღარც ფული აინტერესებს და ხალხიც კერპებივით ეთაყვანება. დანარჩენები კი რაც შეიძლება მეტ ხელფასზე ფიქრობენ. უფულო კალათბურთელმა თავი რომ მოიკლას, მაინც არაფერი გამოუვა, არ ათამაშებენ და იმიტომ.

— მაგას საკუთარ თავზე ხომ არ ამბობ?

— როგორც გინდა, ისე ჩათვალე.

— შენი კონტრაქტის ამბავს ალბათ „ჰეფი ენდი“ ექნება, ზაზა ფაჩულიასთვის კი ახლა იწყება ყველაფერი...

— ზაზას არ გაუმართლა. ის მაღალი კლასის მოთამაშეა და დრაფტზე 42-ე ნომრად არჩევას არ იმსახურებდა.

— ერთ დროს შენც საკმაოდ დაბალ ნომრად აგირჩიეს დრაფტზე. ზაზასაც შენსავით წვალება მოუწევს ნბა-ში დასაფუძნებლად?

— არა, ჩემსავით წვალება ნაღდად არ მოუწევს, თუ ორლანდოელები მას წლეულსვე დაიტოვებენ. მთავარია, ზაზამ ახლა მოაწონოს ხელმძღვანელობას თავი და მომავალში აღარ გაუჭირდება, რადგან „ორლანდოს“ ძალიან სუსტი ცენტრები ჰყავს. დღეს თუ არა, ფაჩულია ხვალ მათ ყველას აჯობებს. ბურკი და დეკლერკი საერთოდ სათვალავში არ არიან ჩასაგდებნი, წლეულს მათ ალბათ მოიშორებენ ორლანდოელები. ამიტომ ფაჩულიას უჯობს, თავი მოიკლას და წლეულსვე გააფორმებინოს კლუბის ხელმძღვანელებს კონტრაქტი, თუნდაც ერთწლიანი. ერთი წლის შემდეგ ზაზას აღარავინ გამოუშვებს „ორლანდოდან“, მჯერა, რომ ის მანამდე გამოიჩენს თავს.

— აბა, არ გაუმართლაო, რომ თქვი...

— არ გაუმართლა, 42-ე რომ იყო, პირველ წრეში არჩევას მაინც იმსახურებდა. უფრო მაღალ ნომრად რომ აეყვანათ, კონტრაქტი თითქმის გარანტირებული ექნებოდა. საერთოდ, „ორლანდომ“ რომ აირჩია, ზაზასთვის ეს ერთი მხრივ კარგია, მეორე მხრივ ცუდი. დავუშვათ, ზაზა 28-ე ნომერ „სან ანტონიოს“ აერჩია, რაზეც დრაფტამდეც იყო ლაპარაკი, მას უმალ გაუფორმებდნენ სამ ან ოთხწლიან კონტრაქტს და რამდენიმე ასეული ათასით მეტსაც გადაუხლიდნენ, ვიდრე ახლა ორლანდოში მისცემენ. ეს, რა თქმა უნდა, კარგია, მაგრამ ამ ვარიანტის ცუდი მხარე ისაა, რომ ზაზა ხანგრძლივად მიეჯაჭვებოდა „სან ანტონიოს“ და ძალიან ყოჩაღად ათამაშების შემთხვევაშიც კი არ აღირსებდნენ ნახევარ მილიონზე მეტს. ტონი პარკერივით მოუწევდა ყურყუტი, რომელიც ჩემპიონი გუნდის ძირითადი გამთამაშებელია და წელიწადში მილიონსაც არ იღებს, არადა, თავისუფლად იმსახურებს ათმაგ ხელფასს. პარკერი 4-წლიანი კონტრაქტითაა სანანტონიოელებზე მიჯაჭვული. ძალიანაც რომ უნდოდეს, ვერსად წავა. შესაძლოა, იგივე დამართნოდა ზაზასაც.

— ეგ ყველაფერი კარგი, მაგრამ ზაზა ამბობს, ფული არ მაინტერესებს, მთავარია, ნბა-ში ფეხი მოვიკიდოო...

— ფაჩულია გუშინ ჩამოვიდა ამერიკაში, დავაცადოთ, ცოტა დრო გავა, სხვანაირად დაიწყებს ლაპარაკს. მან ჯერ არ იცის აქაური ცხოვრების წესი — თუ კარგი ხელფასი არ გაქვს, ესე იგი, არც კალათბურთელად ვარგიხარ. ვიცი, ზაზა რასაც ფიქრობს, იმის შიში აქვს, უკონტრაქტოდ არ დარჩეს და ამიტომაც ამბობს, ფული არ მაინტერესებსო. მე მას დავურეკე და გავარკვიე აქაური ამბებში. ვუთხარი, როგორ ელაპარაკა „ორლანდოს“ შეფებთან, ცოტა თავი დაეფასებინა და კაპიკებზე არ დათანხმებულიყო. თორემ, რომ ნახავენ, საცოდავია, მაქსიმალურად მცირე ხელფასს დაუნიშნავენ. თუმც მჯერა ზაზასი და თუ ახლა გააფორმებს, ერთი წლის შემდეგ მილიონნახევრიანი, ორმილიონიანი კონტრაქტიც შეუძლია დაიმსახუროს.

— საუბარი ნაკრების თემით განვაგრძოთ. გუნდი უკვე შეიკრიბა და ივლისის ბოლოს კიევში გასამართი ოთხთა ტურნირისთვის ემზადება. ბესიკ ლიპარტელიანმა განაცხადა, სტეფანია ნაკრებში აუცილებლად ჩამოვა, თუ ივლისის ბოლომდე კონტრაქტს გააფორმებსო...

— რატომაც არ ჩამოვალ, დიდი სიამოვნებით ვითამაშებ საქართველოს ნაკრებში, მაგრამ თუ კონტრაქტი ვერ გავაფორმე, ჩემი იმედი ნუ ექნებათ. ნაკრებზე იმან უნდა იფიქროს, ვისაც კლუბში საქმე მოგვარებული აქვს.

— ესე იგი, თუ კონტრაქტს გააფორმებ, უნდა გელოდოთ?

— ჩემი ნაკრებში ჩამოსვლის ამბავი დღეს ორმოცდაათი-ორმოცდაათზეა. მომავალში რა როგორ იქნება, ვერაფერს ვიტყვი. თუ ისეთი სასურველი კონტრაქტი გავაფორმე, ნაკრებში აუცილებლად ჩამოვალ.

ირაკლი პერტაია

ზურაბ აზმაიფარაშვილის ევროჩემპიონობიდან ორ კვირაში კიდევ ერთმა ქართველმა მოიგო ოფიციალური ტურნირი. ქართველმა გოგონამ ნანა ძაგნიძემ ნახჭევანში გამართულ მსოფლიოს ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საკმაოდ დიდი უპირატესობით მოიპოვა პირველი ადგილი. ნახჭევანში მანდილოსანთა შეჯიბრის პარალელურად ვაჟთა ჩემპიონატიც გაიმართა, მაგრამ ამაზე ქვემოთ ვთქვათ



ნახჭევანმა ნანა ნახა

ძაგნიძე პატარა მსოფლიოს ჩემპიონია

ჩემპიონატის დაწყებამდე, რომელშიც ნანას ჩათვლით 28 გოგონა მონაწილეობდა თამაშობდა, ქართველი დიდოსტატი თავიდანვე ფავორიტად იყო აღიარებული და მთელი ჩემპიონატის მანძილზე ლიდერობდა კიდევაც ცხრილს. ძაგნიძემ ჩემპიონობა ადრეულადვე გაინაღდა, ამიტომაც ბოლო, მეთერთმეტე ტურში ინდოელ ეეშა კარავადესთან თავი ძლიერ აღარ გადაიღალა და შვიდ სვლაში ყაიმით დაასრულა პარტია.

საბოლოოდ ნანამ 11 ტურში 9,5 ქულა მოაგროვა და მთელი ორი ქულით აჯობა მეორე ადგილზე გასულ რუმინელ კრისტინა კალოტესკუსა და აზერბაიჯანელ ზეინაბ მამედჯაროვას. ძაგნიძემ თერთმეტი პარტიილან რვა მოიგო და სამი ყაიმით დაასრულა.

რაც შეეხებათ ვაჟებს, აქ ქართველებმა პირველობის შანსი ბოლოსწინა მე-12 ტურში დაკარგეს. პირველ ადგილზე მყოფ აზერბაიჯანელ შაჰრიარ მამედიაროვასთან მიაღწიეს თეორიულ შანსს ამ ტურამდე ინარჩუნებდა ლევან ფანცულაია. იგი ლიდერს ორი ქულით ჩამორჩებოდა და წარმატების მისაღწევად ორივე პარტია უნდა მოეგო, მამედიროვას კი ორივე წაეგო. და, თუმცა ლევანმა მეთერთმეტე ტურში დაძაბულ ბრძოლაში დაამარცხა ლიტველი დონატას ჟატაუტისი, მამედიაროვამაც მოიგო და ქართველს თეორიული შანსიც მოუსპო. საბოლოოდ ჩემპიონატზე მეათე ადგილი დაიკავა.

სპეციალისტთა იმედები ვერ გაამართლა ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად შერაცხულმა მეორე ქართველმა ზვიად იზორიამ. ბოლო ტურში მან შავი ფიგურებით წინა ტურში ფანცულაიას მიერ დამარცხებულ ლიტველ დონატას ჟატაუტის კი მოუგო, მაგრამ... ამით წინა ტურებში დაკარგული ადგილები ვერ დაიბრუნა და საბოლოოდ 14-ე ადგილს დასჯერდა.

ლაზა გეგეჭკორი

ქართველი კოლინა საზღვრების გარეშე



ფოტო: ბ. ოლიმპიადის

ზაზა მაჩალაძე საერთაშორისო კატეგორიის არბიტრია

სწორედ ამ ორი დღის წინ „სარბიელში“ ეროვნული საკალათბურთო ჩემპიონატის კოლორიტულ მსაჯ ზაზა მაჩალაძესთან ვრცელ ინტერვიუს წაიკითხავდით. იქიდან შეიტყობდით, რომ მაჩალაძე ჰოლანდიიდან იმ გამოცდების პასუხს ელოდა, რომელსაც მისთვის საერთაშორისო კალსის არბიტრის წოდება უნდა მიენიჭებინა. პასუხი მოვიდა, მაჩალაძე აღარაა მხოლოდ საქარვთელოს ჩემპიონატის მსაჯი, მას მსოფლიოს მსაჯთა თანამეგობრობამაც გაუღო კარი.

გუშინ საქართველოს კალათბურთის ფედერაციაში ფიბა-ს გენერალური მდივნის, პატრიკ ბაუმანის ფაქსი მივიდა, რომელიც ოფიციალურად ადასტურებდა ზაზა მაჩალაძისთვის საერთაშორისო არბიტრის წოდების მინიჭებას.

მაშ ასე, ჩვენებური „კოლინა“ რომ დღეს „ქუთაისი“-„მაკაბის“ მატჩს უმსაჯებს, შესაძლოა, ხვალ ვთქვათ, უნგრეთში დაუძახონ და ფიბა-ს ეგიდით გამართული რომელიმე შეხვედრა განასჯევინონ. სემინარ-გამოცდებიდან მას უკვე იცნობენ მსოფლიოს მსაჯთა მახვშები და მეტსახელიც მოუგონეს: რა თქმა უნდა, „კოლინა“. ვინ იცის, საქმე იქამდე მივიდეს, ნაღდ და ფსევდოკოლინას ერთ ქალაქშიც მოუწიოთ მსაჯობა.

ირაკლი პერტაია

ევროპამ ავსტრია გადაიმტერა

ვანკუვერმა კი კორეა არ გააერთიანა

2010 წლის ზამთრის ოლიმპიადას კანადური ვანკუვერი უმასპინძლებს. ეს გუშინწინ, საღამოსხანს პრაღაში, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის კონგრესზე გადაწყდა და ფარული კენჭისყრის ცხელი ამბები ახლა შეგვიძლია ცივი გონებით მოვყვეთ.

VANCOUVER 2010 CANDIDATE CITY

მოსაყოლი კი ბევრია. თუნდაც ის, რომ კენჭისყრამდე ვანკუვერის მთავარი კონკურენტი ავსტრიული ზალცბურგი ახლა ლამისაა, ნახევარ ევროპას გადაემტეროს. კორექტულები თუ ვიქნებით, პირიქით უნდა ვთქვათ — ნახევარმა ევროპამ ავსტრიელები გადაიმტერა. ამაზე ცოტა ქვემოთ. მეორე ამბავი კიდევ ერთი კანდიდატის სამხრეთკორეული პიონჩანგის ვანკუვერთან სულ რაღაც სამი ხმით დამარცხებაა, რამაც სამხრეთკორეელებს ისე წაუხდინა გუნება და ზრდილობა, რომ კენჭისყრაში მონაწილე 109 დელეგატიდან უმრავლესობას უვიცები უძახეს.

გამარჯვებული კანადელები კი, ცხადია, ხარობენ და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას, კორეელები ძლივს რომ დაამარცხეს. „ეს ფოტოფინიშს ჰგავდა, მაგრამ მოგება მოგებაა და სულ არ აქვს მნიშვნელობა, რამდენი ხმით ვაჯობეთ პიონჩანგს“ — განაცხადა „ვანკუვერი 2010“-ის ყოჩმა და ლეგენდარულმა კანადელმა ჰოკეისტმა უეინ გრეცკიმ.

კანადის პრემიერ-მინისტრი ჟან კრეტიენი: „როდესაც კენჭისყრის შედეგი გამოცხადდა, სიხარულისგან ბავშვივით ვხტუნავდი. ეს იყო უდიდესი დღე კანადის ისტორიაში. ვანკუვერი, დამერწმუნეთ, ფანტასტიკური ქალაქია და ფანტასტიკურ ოლიმპიადას გპირდებით.“

კენჭისყრის მეორე რაუნდში ვანკუვერმა 56 ხმა დააგროვა და, როგორც ვთქვით, სამი ხმით აჯობა პიონჩანგს, რომელსაც პირველივე რაუნდში უწინასწარმეტყველებდნენ ბრძოლიდან გამოთიშვას, კორეელებმა კი პოლიტიკით ისპეკულიანტეს და მეორე წრეში გაძვრნენ. კერძოდ, ისინი პირობას დებდნენ, რომ თუ სოკ-ი 2010 წლის თეთრ ოლიმპიადას აღირსებდა, შეჯიბრზე ჩრდილოეთ კორეასთან ერთად გაერთიანებული ნაკრებით იასპარეზებდნენ. ამან ნაწილობრივ ვაამართლა, თუმც ბრძოლის მოსაგებად საკმარისი არ აღმოჩნდა.

„არ ვიცი, რა ვთქვა. ძალიან გულნატკენი ვარ. მეტი რა უნდა გაგვეკეთებინა, რომ ოლიმპიადის მასპინძლობის უფლება მიგვეღო. პირობა დავდეთ, გაერთიანებული ნაკრებით გამოვიდოდით. ეს ვერ შეძლეს პოლიტიკოსებმა და ათასი ჯურის ორგანიზაციებმა აგერ უკვე ათეული წლებია. ჩვენ კი ამას გავაკეთებდით. უბრალოდ დელეგატთა უმრავლესობა უცოდინარია.“ — თქვა სამხრეთ კორეის კულტურის სამინისტროს მაღალჩინოსანმა ქალმა ტო იანგ-შიმმა.

კორეელებს მარტო პოლიტფაქტორმა როდი დააგროვებინა 53 ხმა. მათ წისქვილზე წყალი ზალცბურგის პირველივე რაუნდში გამოთიშვამაც დასხა. ავსტრიელებმა ძალიან ცოტა, 16 ხმა დააგროვეს და ასეთი შედეგით ძალიან იმედგაცრუებულმა მთავარ დამნაშავედ თანაკონტინენტელები დასახეს.

ძველი ამბავია, 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძლობა ლონდონს, მოსკოვსა და პარიზს სურთ. რა დიდი ტვინის ჭყლეტაა საჭირო, რომ თუ ზამთრის ოლიმპიადას ევროპული ზალცბურგი უმასპინძლებდა, ორი წლის შემდეგ ზაფხულის ოლიმპიადასაც ევროპაში გამართვა ფრიად სათუო იქნებოდა.

„ჩვენ ევროპელებმა გაგვწირეს, ძალიან უნამუსოდ მოიქცნენ. კენჭისყრის წინ ესპანელ, ინგლისელ, ფრანგ, რუს, ნორვეგიელ და ფინელ დელეგატებს ვესაუბრე. ისინი დამპირდნენ, რომ ხმას ჩვენ მოგვცემდნენ, მაგრამ მოგვატყუეს. ამის დასამტკიცებლად ელემენტარული არითმეტიკაა საჭირო. ყველა ერთად აღებული დაახლოებით 50-მდე დელეგატი გამოდის, ჩვენ კი 16 ხმა მივიღეთ. მითხარით, ახლა რა გამოდის? ისინი უნამუსოები არიან“ — აღშფოთებას ვერ ფარავდა ავსტრიელთა ავტორიტეტი, სამთომოთხილამურე ჰერმან მაიერი.

და ბოლოს, საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ჟაკ როგი: „ბუნებრივია, დამარცხებულები მიზეზებს ეძებენ, ეს არ გამკვირვებია. ჩემი აღშფოთება ავსტრიელთა ძალიან გადაჭარბებულმა განცხადებებმა გამოიწვიეს. ჩვენ ერთი ოჯახი ვართ და ასეთი რამ არ უნდა ხდებოდეს. როცა დაწყნარდებიან, მათ დაველაპარაკები და ვეცდები, ეჭვები გავუფანტო.“

როგორც სოკ-ის პრეზიდენტი, როგი თავად არ მონაწილეობდა კენჭისყრაში. კითხვაზე ვისკენ იხრებოდა მისი სიმპათიები, როგმა უპასუხა: „ყველაფერი გადაწყვეტილია და ახლა აზრი არ აქვს ჩემი ფავორიტის დასახელებას.“

კანადა კი ზეიმობს.

ბაჩო სვანიძე



REUTERS პრაღიდან

ვანკუვერის გამარჯვებამ ავსტრიელებს და კორეელებს გული მოუკლა

ეროვნული ბიბლიოთეკა



ნანგა პარბატის მასივი

გუშინ სიკვდილის მთამაც იზეიმა

მაისის მიწურულს დედამიწის უმაღლეს მწვერვალზე პირველასვლიდან 50 წლის იუბილეს დიდი ზარზეიმით აღნიშვნამ ჩრდილქვეშ მოაქცია მრისხანე ნანგა პარბატი, რომელსაც გუშინ ასეთივე თარიღი დაუმრგვალდა. არადა, 1953 წელს ამ ბუმბერაზ მწვერვალებზე ასვლა ისეთივე მნიშვნელობისა იყო, როგორიც ჩრდილო და სამხრეთ პოლუსების დაპყრობა.

მართალია, ნანგა პარბატი (8125 მ.) ევერესტს (8848 მ.) სიმაღლეში მნიშვნელოვნად ჩამორჩება და იგი მსოფლიოს თოთხმეტ რვაათასიანთა რიგში მხოლოდ მეცხრეა, მაგრამ სხვა განზომილებებით იგი დედამიწის კენწეროს აღემატება, თუნდაც სავალალო სტატისტიკით. მთელ დედამიწაზე არცერთ მწვერვალზე პირველასვლას არ შესწირვია იმდენი მთამსვლელის სიცოცხლე, რამდენიც ნანგა პარბატს. სანამ 1953 წლის 3 ივლისს ჰერმან ბული მარტოდმარტო პირველი ავიდოდა ამ ბუმბერაზზე, მის ფერდობებს 32 მთამსვლელმა შეაკლა თავი. ეს მეტი იყო, ვიდრე მსოფლიოს დანარჩენ ცამეტ რვაათასიანზე ერთად აღებული.

ნანგა პარბატი საერთოდაც პირველი რვაათასიანია, რომელმაც მთამსვლელები შეიწირა. ეს მოხდა ჯერ კიდევ 1895 წელს, როცა ამ მწვერვალზე პირველი ექსპედიცია მოეწყო. ინგლისელთა ეს ექსპედიცია პირველი იყო არა მხოლოდ ნანგა პარბატზე, არამედ საერთოდ რვაათასიანზე.

ექსპედიციას იმ დროისთვის გამოჩენილი მთამსვლელი და მოგზაური მამერი მეთაურობდა. სამწუხაროდ, ის და მისი სამი თანაგუნდელი იქიდან აღარ დაბრუნებულან.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა და ნანგა პარბატი ახლა მეორეა დაღუპულ (62) მთამსვლელთა და მასზე ამსვლელთა რაოდენობის (188) პროცენტული შეფარდებით (32,8), ხოლო გიგანტთა შორის პირველია ერთი ასვლის ცდისას დაღუპულ მთამსვლელთა რაოდენობით. მის ფერდობებზე ასეთი ტრაგიკული რეკორდი დამყარდა 1937 წელს, როცა ერთბაშად 16 კაცი დაიღუპა, რითაც თავისივე სამი წლის წინანდელ „მიღწევას“ 6 მსხვერპლით გადააჭარბა. ორივე უბედურება გერმანელთა ექსპედიციებს თავიანთ შერპებთან ერთად დაატყდა თავს.

მაგრამ ნანგა პარბატმა მხოლოდ მთამსვლელებში როდი დაიგდო მრისხანე, უკარება და სისხლისმსმელი მწვერვალის სახელი. იგი „მშვიდობიან“ მოსახლეობაზეც ნადირობდა და 1841 წელს ოავისი ფერდობებიდან საკმაოდ ქვემოთ მცხოვრებთა დიდ ნაწილს მუსრი გაავლო. მაშინ ნანგა პარბატის ფერდობებიდან უზარმაზარი ზვავი მოწყდა და მდინარე ინდის კალაპოტი გადაკეტა. რაკი მდინარემ გასაქანი ვეღარ ჰპოვა, რამდენიმე თვეში უშველებელ ტბად იქცა. მერე წყალმა მაინც იმძლავრა, ზღუდე გაანგრია და ვეება ლოდები ნაფოტებივით აიტაცა. ეს ყველაფერი გრიალით დაბლობისკენ ზვავივით დაეშვა და იქ მცხოვრებთ მეხივით თავს დაატყდა. ყოველივე ამის გამო ნანგა პარბატს სიკვდილის მთა შეარქვეს.



ჰერმან ბული (წინა პლანზე) და კარლ ჰერლიკგოფერი ნანგა პარბატიდან ბრუნდებიან

ჰიმალაის ჩრდილო-დასავლეთის დაბლობებზე, პაკისტანში მდებარე ამ მწვერვალს ადგილობრივი მკვიდრნი, ბალტის ტომის წარმომადგენლები, დიამირს უწოდებენ, რაც მთის მეფეს, მთის მბრძანებელს ნიშნავს.

ეს მწვერვალი მართლაც მეფურად გამოიყურება, რაკიღა უახლოესი რვაათასიანი მწვერვალისგან მთელი ათასი კილომეტრითაა დაშორებული და მთელს იმ რაიონში შვიდიათასიანი პიკებიც კი თითებზე ჩამოსათვლელია. ამიტომ ნანგა პარბატის ხუთთავა უშველებელი მასივი დანარჩენ მწვერვალებს ამაყად დასცქერის და გაცილებით ბუმბერაზი ჩანს, ვიდრე სხვა. რვაათასიანები, მათ შორის დედამიწის უმაღლესი მწვერვალი. რაც შეეხება ნანგა პარბატის სანსკრიტის ენაზე მნიშვნელობას, ითარგმნება როგორც შიშველი მთა.

ამ შიშველ და სიკვდილის მთას გერმანელთა მთასაც უწოდებენ, რადგან 1932 წლიდან მასზე სწორედ მათი ხანა დაიწყო და ნანგა პარბატის დამორჩილებასაც პრაქტიკულად მხოლოდ ისინი ცდილობდნენ. ნანგა პარბატის სიკვდილის ცელიც დაუნდობლად სწორედ მათ და მათი ექსპედიციების შერპ მთამსვლელებს ცელავდა, მაგრამ ეს ხალხი მაინც არ ეპუებოდა. ისინი მწვერვალზე თუ სიკვდილზე უფრო ჯიუტნი აღმოჩნდნენ.

როცა ევერესტი დანებდა მთამსვლელებს, ეს ცნობა მთელს მსოფლიოში ელვისუსწრაფესად გავრცელდა, ორიოდე კვირის დაგვიანებით კი იქ დაბრუნდა, საიდანაც წავიდა — ჰიმალაიზე, ოღონდ ნანგა პარბატის ფერდობებზე, სადაც გერმანიისა და ავსტრიის გაერთიანებული ექსპედიციის წევრები იყვნენ.

ევერესტზე ინგლისელთა გამარჯვებამ ცეცხლი შეუნთო წინა ექსპედიციების წარუმატებლობებით ისედაც გამწარებულ და გაჯიქებულ გერმანელ და ავსტრიელ მთამსვლელებს, რომლებიც ნანგა პარბატზე მიიწევდნენ. მათი სიჯიუტე ჰერმან ბულის ასვლით დაგვირგვინდა.

ნანგა პარბატზე და ევერესტზე გამარჯვებას ერთმანეთს ადარებდნენ. ჩვენც შევადაროთ, ოღონდ სხვა კუთხით: ევერესტზე პირველამსვლელებს ყველგან დიდი ზარზეიმით შეხვდნენ: ნეპალშიც, ინდოეთშიც, ინგლისშიც, ახალ ზელანდიაშიც. ისინი უმაღლესი სახელმწიფო მედლებითა და ორდენებით დააჯილდოვეს. თენსინგი ეროვნულ გმირადაც შერაცხეს, ნანგა პარბატის ექსპედიცია კი კონფლიქტით დასრულდა. საქმე სასამართლომდეც კი მივიდა. კონფლიქტი ოდნავ ჩააცხრო ვენის ბურგომისტრმა. ბულის გამარჯვება, რაც მას მოყინული ფეხის თითების მოკვეთის ფასად დაუჯდა, იმით დააფასეს, რომ მას ბურგომისტრმა ბინა მისცა, მანამდე კი ნანგა პარბატის გმირი და მისი ცოლი მეგობრებს იყვნენ შეკედლებულნი.

რაც შეეხება კონფლიქტს, იგი მაშინ გამძაფრდა, როცა ნანგა პარბატზე გადამწყვეტი იერიშის ჟამი დადგა. მაშინ მეხუთედან მესამე ბანაკში სულის მოსათქმელად ჩასულმა ექსპედიციის მეთაურის მოადგილე ვალტერ ფრაუენბერგმა, ჰანს ერტლმა, ჰერმან ბულმა და ოტო კემპტერმა მოულოდნელად ბრძანება მიიღეს, ასვლა შეწყვიტეთ და საბაზოში დაბრუნდითო.

მესამე დღეს ექსპედიციის მეთაურმა კარლ ჰერლიკგოფერმა დურბინდით „სიკვდილის მთის“ ფერდობზე, „ვერცხლის უნაგირისკენ“ მოძრავი წერტილები დაინახა. მისთვის ნათელი გახდა, რომ მოწინავე ოთხეული და მათი ამდენივე თანმხლები მზიდავი აღარავის და აღარაფერს ემორჩილებოდნენ. ალბათ, ასეც იყო მოსალოდნელი, რაკი ამ ექსპედიციის წევრთა შორის იმთავითვე ერთსულოვნება არ სუფევდა. ამასთან, მოწინავე ჯგუფს ხუთივე საშუალედო ბანაკი მზად ჰქონდა, ამინდიც ხელს უწყობდა და ჯანზეც იყვნენ, ამიტომ ექსპედიციის მეთაურის ბრძანება მათთვის გაუგებარი იყო.

ასე იყო თუ ისე, ფრაუენბერგმა და ერტლმა პირველი შეტევის უფლება ახალგაზრდა ბულსა და კემპტერს, დაუთმეს. ბოლოს მწვერვალისკენ უთენია მხოლოდ ბული დაიძრა. კემპტერმა დაგვწევიო, თუმცა მერე ამაოდ გაისარჯა. ბულმა მართლაც მიაღწია მწვერვალს, მაგრამ უკვე მოსაღამოვებულს, 19 საათზე. იგი დაღამებამდე უახლოეს ბანაკში დაშვებას ვეღარ ასწრებდა. მას არც ჟანგბადის ბალონი ჰქონდა, არც საკვები, რაც მთავარია, არც საძილე ტომარა და კარავი. ის ღამე მოყანყალე ქვის დაფაზე გაატარა, რაც ბედად დაძინების საშუალებას არ აძლევდა. უფრო იღბლიანი შემთხვევა ის იყო, რომ იმ ღამეს საოცრად „თბილოდა“ — ყინვა „სულ რაღაც“ 10 გრადუსი იყო. ამიტომ მხოლოდ ფეხის თითების მოყინვით გადარჩა, რაც მერე მოსაკვეთი გაუხდა, მანამდე კი საბაზოში ჩასულ ჰერმან ბულსა და მის სამ თანაგუნდელს ძალზე ცივად შეხვდნენ, მერე კი იყო ის დიდი კონფლიქტი.



1934 წლის ექსპედიციის ქარავანი, რომელმაც ნანგა პარბატზე 7 696 მეტრამდე ააღწია

ავთანდილ გურასაშვილი

ესენი ისევ მოშავდნენ

ქალები

ნახევარფინალი

სერენა უილიამსი (1, აშშ) — ჟუსტინ ენენ-არდენი (3, ბელგია) 6:3, 6:2; ვინუს უილიამსი (4, აშშ) — კიმ კლაისტერსი (2, ბელგია) 4:6, 6:3, 6:1

კაცები

მეოთხედფინალი

სებასტიენ გროჟანი (13, საფრანგეთი) — ტიმ ჰენმანი (10, ბრიტანეთი) 7:6 (10:8), 3:6, 6:3, 6:4; მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) — ალექსანდერ პოპი (გერმანია) 4:6, 4:6, 6:3, 6:3, 8:6; ენდრუ როდიკი (5, აშშ) — იონას ბიორკმანი (შვედეთი) 6:4, 6:2, 6:4; როჯერ ფედერერი (4, შვეიცარია) — სხენგ შალკენი (8, ჰოლანდია) 6:3, 6:4, 6:4

„მე დავბრუნდი!" მსგავსი არაფერი წამოუძახია სერენა უილიამსს, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს რა წამოიძახა, ჩაილაპარაკა თუ გაიფიქრა ჩოგნის სამყაროს ამ შავმა დედოფალმა. მნიშვნელობა მისი დაბრუნების ფაქტშია.

გუშინ უიმბლდონის ნახევარფინალში სერენა უილიამსმა მსოფიოს ყველაზე არისტოკრატულ საჩოგბურთო საზოგადოებას აჩვენა თუ — ვინ ვინაა, აიღო და ერთი მაგრად მოუგო ციდა ბელგიელს ჟუსტინ ენენ-არდენს, რომელთანაც ორი კვირის წინ ჟუსტინისთვის თითქმის მშობლიურ პარიზში, საფრანგეთის ღია პირველობის ნახევარფინალში წაეგო და უნებლიედ გაეწყვიტა სლემჩემპიონობის შთამბეჭდავი ჯაჭვი. სერენას ხომ მანამდე ზედიზედ ოთხი სლემტურნირი მოეგო...

სერენას არც მისი უფროსი შავდა ვინუსიც ჩამორჩა, მანაც მოიგო და დებმა უილიამსებმა ქალთა ჩოგბურთი ისევ შიდაოჯახურ რელსებზე შეაბრუნეს. ტრადიცია გაგრძელდა, იმ ოთხ სლემფინალში, რომლებიც სერენამ პარიზში წაგებამდე მოიგო, ვინუსიც ხომ მონაწილეობდა. ისე, ვინუსი მხოლოდ მონაწილეობდა, ტიტულები კი სერენას რჩებოდა. რომელ დას დარჩება მსოფლიოს უპრესტიჟულესი ტურნირის მთავარი პრიზი, ეს თავად უილიამსთა ოჯახშიც (ისე უილიამსების ოჯახი ხომ დაიშალა, მამა რიჩარდი და დედა ორასინი, კარგა ხანია, გაიყარნენ) კი არ იციან.

ვინუსს სერენაზე მეტად გაუჭირდა. უიმბლდონის ორგზის, 2000 და 2001 წლებში საჩემპიონოდ დამჩოგნავ, მაგრამ მერე პირველობის უმცროსი დაიკოსთვის დამთმობ უფროს შავდას მუცლის კუნთი დასჭიმვოდა. მცირე ტრავმა ხელს უშლიდა ბუთხუზა და ბუთქუნა ბელგიელ კიმ კლაისტერსთან პროფესიულ დავაში. კლაისტერსმა საწყისი სეტი მოიგო კიდეც 6:4 ანგარიშით და ვინძლო, მატჩიც მოეგო, ვინუსს წვიმა რომ არ შეშველებოდა.

ლონდონის ზეცა არ დაგიდევდათ, „ოლ ინგლენდ კლაბის" უკვე კარგად მოთელილ ბალახოვან ხალიჩაზე მორბენალთაგან ვის უჭირდა და ვის ულხინდა. ნისლიანი ალბიონის მარადი სტუმარი წვიმა კვლავ მოევლინა გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქს და ერთმანეთთან გამწარებით შეჩოგნებული გოგო-ბიჭები გასახდელში შერეკა. ვინუსი წვიმამ გადაარჩინა, სანამ გამოიდარებდა, მას ტკივილი დაუცხრა, მედიკოსებმაც ნაყოფიერად უწამლეს და კორტზე სულ სხვა გოგოდ დაბრუნდა. კლაისტერსმა მას ველარა დააკლო, ვინუსმა ფლამანდელი ლოყებლაჟლაჟა გოგოცუნა მწარედ, ბოლო ათი გეიმიდან 9 მოუგო.

სერენას ამ დროს საქმე კაი ხნის მოთავებული ჰქონდა (სულ იოალადც მოუგო პარიზში მის დამმუხრუჭებელ ენენს) და წინა რიგში ცისკარი სახით შესკუპებული აკადემიური „ოლ ინგლენდ კლაბისთვის" დასაშვები მხურვალებით ქომაგობდა უფროს დას, რომელსაც, ესეც ვთქვათ და, ამ შაბათს ისევე მოუღერებს ჩოგანს, როგორც გუშინ ენენ-არდენს.

სხვათა შორის, უილიამსებს ინგლისელი მაყურებლებიც ქომაგობდნენ, რამაც მგრძნობიარე დეევქალ სერენას გული აუჩვილა. მან ძალიან განიცადა პარიზში ფრანგების მტრული დახვედრა, ფრანგული წარმოშობის ბელგიელ ენენ-არდენთან ხომ ნაწილობრივ ამის გამოც წააგო. ლონდონის ტრიბუნები კი სერენას ტაშს უკრავდნენ და ესეც თავისუფლად ჩოგნაობდა, ხოლო როცა სერენა მხოლოდ ჩოგნის ქნევაზე ფიქრობს და ვეება გულში წამდაუწუმ არ ესობა მისთვის შეურაცხმყოფელი და მეტოქისთვის გამამხნევებელი შეძახილები, ვის გინდა ვის ჩაჩოგნავს.

სერენაზე კიდევ ბევრის დაწერა შეიძლება, მაგრამ თქვენის ნებართვით ნახევარიოდ სვეტი ვაუებსაც დავუთმოთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ კარგა ხანია გაუვარდათ გინდ ძველი და გინდ ახალი ჩემპიონები.

წესით ბიჭებს გუშინწინ უნდა მოემთავრებინათ სამეოთხედფინალო შეხვედრები, მაგრამ მათ საქმეში დაუპატიჟებელი წვიმა ჩაერია და ამათში ნახევარფინალისტების გამორკვევა 24 საათით შეგვიანდა.

მუხთალ ფრანგ სებასტიენ გროჟანთან დაიჩოქა სრულიად ბრიტანეთის ვერშემდგარმა საჩოგბურთო სიამაყემ ტიმ ჰენმანმა. ჰენმანი — ჯიშით მებალახე ჩოგბურთელი, მაგრამ ასეთების კვალად საკმაოდ კნაჭა ტანის პატრონი, ალბათ — ისე ჩამოშორდება დიდ კორტებს, რომ უიმბლდონის სანატრელ ტიტულს ხელს ვერ წააყოლებს. მანამდე ის ზედიზედ ოთხჯერ გამოვარდა უიმბლდონის ნახევარფინალიდან, ახლა კი თამასა ჩამოუვარდა კიდეც — ნახევარფინალამდე დასწყვიტა გული ბოლო 64 წელი ინგლისელის ჩემპიონობაზე ამაოდ მეოცნებე ელიზაბეტ მეორის ქვეშევრდომობას. მე მაინც ვეცდებიო, უთქვამს მეტოქისგან დიახაც გატეხილ, მაგრამ ბედთან შეურიგებელ ბრიტს. ეცადოს რა, მაგრამ არა გვვგონია, რამე გამოუვიდეს, ის უკვე 28 წლისაა და უიმბლდონის მოსაგებად პირველ რიგში საჭირო ჯანი აწი ნაღდად აღარ მიემატება.

ნახევარფინალს გროჟანთან ერთად უწიეს ერთადერთმა განუთესავმა მარკ ფილიპუსისმა, კარგმა ბიჭმა როჯერ ფედერერმა და ბუქმექერთა მიერ შემორჩენილთა შორის ფავორიტად მერყევად დასახელებულმა ენდი როდიკმა. ჰენმანისგან განსხვავებით, როდიკი ძალაზეა, თან მის გაუცვეთელ სხეულში ჩაბუდებული კოლოსალური ენერგია სწორედ ახლა იღვიძებს. ვინ იცის, იქნებ უკვე გაიღვიძა კიდეც.

ძოტე ყოლბია





REUTERS ლონდონიდან

ჟუსტინ ენენ-არდენი სერენა უილიამსის შურისძიებას ვერ გაექცა

ამბავ-ხაბარი

ფილიპუსისს სათითაოდ გადაუთვალეს

ანდრე აგასის საარაკო ძლევისას ვირგლა ავსტრალიელმა მარკ ფილიპუსისმა აიბიემის გამოთვლით 46 ეისი ჩააყუმბარა.

ამდენივე გამჭოლი მოწოდება აქამდე მხოლოდ ხორვატ ივანიშევიჩს მოექუჩებინა 1997-ში.

მაგრამ რეკორდის გამეორება ფილიპუსისს უმალვე მაინც არ დაუდასტურდა — მატჩის მსაჯმა ავსტრალიელს სხვანაირად დაუთვალა და ჯამში 45 გამოუყვანა.

რაკიღა საქმე ისტორიულ შედეგს შეეხებოდა, აიბიემელმა სპეციალისტებმა შეხვედრის ვიდეოჩანაწერი რამდენჯერმე თავიდან დააბზრიალეს და საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სკადმა რეკორდის გამეორება მართლაც შეძლო.

ეგრეა — ნამუსიანი ხალხი არაფერს დაგიკარგავს.

მეგობარი „სექსუალური გაუკუღმართებიდან"





ჯენიფერ კაპრიატიმ მეტიუ პერი ვერაფრით გაახარა

უიმბლდონის მეოთხედფინალში სერენა უილიამსთან დამარცხებულ ჯენიფერ კაპრიატის ყველაზე მეტად ჰოლივუდელი მსახიობი მეტიუ პერი შემატკივრობდა.

პერი უიმბლდონობაზე ქომაგობას ლონდონურ სცენაზე თამაშსაც უხამებს — დადგმას, რომელშიც ის ახლა ირჯება, „სექსუალური გაუკუღმართება ჩიკაგოში" ჰქვია.

კანადაში დაბადებული მეტიუ სიჭაბუკეში პერსპექტიული მეჩოგნე იყო და კორტს სცენა მხოლოდ მას შემდეგ ამჯობინა, რაც რომ მისი არასაკორტო ტალანტებით ჰოლივუდელი მაძებრები მოიხიბლნენ.

როცა ჯენის ჰკითხეს, მეტიუსთან ერთად თუ სპარინგობო, მას ხუმრობით უარუყვია: არ მინდა, მასთან ჩოგნაობით ჩემი თვითრწმენა შევირყიოო.

ჰემმა — ქალებსაც იმდენივეო

სახელიანი ამერიკელი ქალმეჩოგნე ჰემ შრაივერი დაჟინებით მოითხოვს, რომ რაგინდარა საჩოგბურთო ტურნირთა ორგანიზატორებმა ქალებსაც იმდენივე გადაუხადონ, რამდენსაც კაცებს უხდიან.

„ანდრე აგასიმ წლეულს მელბურნში სერენა უილიამსზე ნაკლები გეიმი მოიგო — ასაბუთებს ჰემი — მაგრამ ფული მაინც მასზე მეტი ერგო. შარშანდელი უიმბლდონობის ფინალში ლეიტონ ჰიუიტმა დავიდ ნალბანდიანს გადაუარა. ეს ნალბანდიანი მანამდე ვინმემ იცოდა? არავინ. მაგრამ მან მაინც დიდი ფული მიიღო."

ანუ — თუ თანაბრობაა, თანაბრობა იყოს, თუ არა და, ვოქვათ, რომ სამყარო ფალოცენტრულია და მოვრჩეთო, დასძენს ჰემი.

ქალია, რა.

ტურის 106

ახლოა მეასე ტურ დე ფრანსის გახსნის დღე — შაბათი, 5 ივლისი. პარიზის ქუჩებში კი უკვე რამდენიმე დღეა დასეირნობენ ამოდ საცქერი საიუბილეო მანქანები, რომელთა ფერდებზეც ძველი ტურების აფიშები, გმირ ველოსიპედოსთა ფოტოები და სხვა ასეთებია გამოფენილი. ძარებზე ძველი დროის წესით ჩაცმული ადამიანებიც ჩანან და საერთოდ, ეს მანქანები 3,500 კილომეტრს გაივლიან საფრანგეთის გზებზე, რათა ხალხს კიდევ ერთხელ შეახსენონ ტურის უკვდავების შესახებ.



REUTERS სოლტ ლეიკ სიტიდან

ნიჩბოსნობა ჰენლიზე

REUTERS ლონდონიდან

ეს პატივცემული ძიაკაცი გულშემატკივარი გახლავთ და აღტაცებით უცქერს, როგორ იხსნება ჰენლის სამეფო რეგატა. ოქსფორდ-შირისთვის ტრადიციული რეგატა ხსენებულ მდინარეზე 1839 წლიდან ტარდება და მას იმთავითვე ხალხი და მერია აწყობდნენ. თავიდან იქ ბევრი სხვა გასართობიც იყო, ახლა კი მთავარ სანახაობად სპორტი დარჩა.

REUTERS პრაღიდან

საგაისო მედლები

ათენის ოლიმპიადის ორგანიზატორთა მეთაური, ჯანა ანგელოპულოსი ოლიმპიური მედლების ჯერჯერობით მხოლოდ ქაღალდზე არსებულ იერს წარმოგვიდგენს. ეს ამბავი პრაღაში ხდება. სოკ-ის 115-ე სესიაზე.



REUTERS ლონდონიდან

ჰენმანის ცქერაში

გლაზგოს „სელტიკის“ ფეხბურთელთა გუნდის მენეჯერს, მარტინ ონილს მოუცლია და უიმბლდონშიც ჩამომჯდარა ინგლისელი ტიმ ჰენმანისა და ფრანგი სებასტიენ გროჟანის თამაშის საცქერლად. იმავ თამაშს უცქერენ ტიმის მშობლები და მისივე ცოლი ლუსი.



REUTERS ლონდონიდან

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქროპჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაძეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუგელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა ლევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, მალხაზ ჭუმბურიძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ჭავჭავაძის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი – 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge